# სარბიელი

სპორტული გაზეთი შაბათი 1 ოქტომბერი 2005 №225 (2548) ფასი 50 თეთრი



**ასათიანის თავ ურა**

ინტერვიუ მალხაზ ასათიანთან

2



**თავისუფლების ისტორიული**

მოჭიდავეებმა არნახული ნახეს

13



**ფედერერის კრეისერული სიჩქარე**

თინეიჯერის გამომცხვარი სენსაცია

14

# რა ვქნა, რომ კაპიტანი ვარ...




# ტური ვიტური

## მერვეს შვიდი დღეს და ხვალ



[illegible] კალანდაძის ფოტო

მერვე ტურის პირველ შეხვედრაში „ვიტ ჯორჯიამ“ „ამერს“ 2:1 მოუგო

2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის I I შესარჩევი ჯგუფი

ჩვენი მეტოქე

# სრული საბერძნეთი

ევროპის ჩემპიონის, საბერძნეთის ეროვნული ნაკრების გერმანელმა მწვრთნელმა ოტო რეჰაგელმა შემადგენლობა სრულად დაასახელა. დანია-საქართველოსთან სათამაშოდ „მეფე ოტომ“ 23-კაციანი სია შეადგინა, სადაც დებიუტანტ ევანგელოს მანციოსისთვისაც გამოინახა ადგილი. 22 წლის მანციოსი „პანათინაიკოსში“ თამაშობს და თავდამსხმელია.

გუნდში დაბრუნდა ცენტრალური მცველი ტრაიანოს დელასიც. მას ტრავმების გამო ეროვნული გუნდის მაისურა თებერვლის მერე არ მოურგია.

მოგეხსენებათ, საბერძნეთი მსოფლიოს ჩემპიონატის საგზურისთვის იბრძვის და რა გასაკვირია, თუ ოტო რეჰაგელმა 8 ოქტომბერს დანიასთან და ოთხი დღის მერე საქართველოსთან მატჩებისთვის უძლიერეს შემადგენლობას მოუყარა თავი.

მოკლედ, რეჰაგელის რჩეულნი ესენი არიან:

*მეკარეები:* ანტონის ნიკოპოლიდისი (ოლიმპიაკოსი), სტეფანოს კოცოლისი (ლარისა);

*მცველები:* იურკას სეიტარიდისი (დინამო, მოსკოვი, რუსეთი), ტაკის ფისასი (ჰართსი, შოტლანდია), მიხალის კაპსისი (ოლიმპიაკოსი), გეორგიოს ანატოლაკისი (ოლიმპიაკოსი), სოტირის კირიაკოსი (რეინჯერსი, შოტლანდია), ლუკაშ ვინტრა (პანათინაიკოსი), ტრაიანოს დელასი (აეკ), იანის გუმასი (პანათინაიკოსი);

*ნახევარმცველები:* გეორგიოს კარაგუნისი (ბენფიკა, პორტუგალია), კოსტას კაცურანისი (აეკ), ანგელოს ბასინასი (უგუნდოდ), თეოდოროს ზაგორაკისი (პაოკ), სტელიოს იანკოპულოსი (ბოლტონი, ინგლისი), პანტელის კაფესი (ოლიმპიაკოსი), დიმიტრიოს სალპინგიდისი (პაოკ);

*თავდამსხმელები:* ზისის ვრიზასი (ფიორენტინა, იტალია), ანგელოს ხარისტიასი (აიაქსი, ჰოლანდია), ნიკოს ლიბეროპულოსი (აეკ), დიმიტრიოს პაპადოპულოსი (პანათინაიკოსი), ფანის გეკასი (პანათინაიკოსი), ევანგელოს მანციოსი (პანათინაიკოსი).

და ერთიც: საბერძნეთი — საქართველოს მატჩს, რომელიც ათენის „გეორგიოს კარაისკაკისზე“ 12 ოქტომბერს თბილისის დროით საღამოს 9 საათზე დაიწყება, იტალიელ მსაჯთა ბრიგადა განსჯის — მთავარი არბიტრი მატეო ტრეფოლონი იქნება, რომელსაც ასისტენტობას ანდრეა კონზოლო და ლუკა მაჯანი გაუწევენ; მეოთხე სათადარიგო კი მასიმო დე სანქტისია.

**გიორგი ვაშაქიძე**

## ჰოლანდია

ერედივიზიონი. VII ტური
როზენდალი 1:2 ნაიმეგენი
II დივიზიონი. X ტური
ტელსტარი 0:2 ვოლენდამი
ვენლო 3:0 გრააფსხაპი
დენ ბოსხი 5:3 ჰსვ (მ)
ექსელსიორი 3:0 ვეენდამი
სიტარდი 1:1 მაასტრიხტი
იგლსი 2:1 დორდრეხტი
აპელდორნი 5:2 ალმერე
კამბური 4:0 ჰაარლემი
ემენი 0:2 ზვოლე

## ინგლისი

ჩემპიონატი. XII ტური
ჰალი 1:1 მილუოლი
ვულვზი 0:1 ბარნლი

## თურქეთი

სუპერლიგა. VIII ტური
გაზიანთეპი 1:1 გენჩლერი

## პოლონეთი

I ლიგა. IX ტური
ლეხი 1:0 ლეგია

## პორტუგალია

სუპერლიგა. VII ტური
ბელენენსეში 0:2 ამადორა

## ავსტრია

I დივიზიონი
XIV ტური
ავსტრია (მ) 0:1 კაფენფერგი
ლეობენი 4:1 კუფშტაინი
შვანენშტადტი 2:0 ალტახი
ლინცერი 1:0 გრატკორნი
ავსტრია (ლ) 0:0 კარნტენი

## ბელგია

იუპილერლიგა. IX ტური
შარლერუა 3:3 ბრიუგე

## გერმანია

II ბუნდესლიგა. VIII ტური
ალემანია 0:1 ფიურტი
უნტერჰახინგი 0:1 ზაარბრიუკენი
აუე 0:0 ალენი
ჩრდილოეთ რეგიონალლიგა
XII ტური
ლიუბეკი 1:0 ვუპერტალი
სამხრეთ რეგიონალლიგა
X ტური
ტრირი 2:1 კარლსრუე (მ)
ფულენდორფი 2:1 ბაირუთი
ჰოფენჰაიმი 0:1 ელვერსბერგი
ლაუტერნი (მ) 0:1 დარმშტადტი

## საფრანგეთი

II დივიზიონი. X ტური
ამიენი 0:0 კლერმონი
კაენი 1:0 ლორიანი
ბრესტი 1:1 რეიმსი
ლე ავრი 1:0 სეტე
მონპელიე 0:0 გინგამი
გრენობლი 1:2 დიჟონი
გენიონი 1:1 ლავალი
კრეტეი 1:1 ვალენსიენი
შატორუ 4:3 ისტრი

## იტალია

სერია B. VII ტური
მანტოვა 1:0 ატალანტა
ვიჩენცა 0:1 არეცო

## ირლანდია

პრემიერლიგა. XXVI ტური
უოტერფორდი 2:0 ბოჰემიანი
შემროკი 4:2 ლონგფორდი
ბრეი 0:2 დროჰედა
სტ. პატრიკსი 0:0 ჰარპსი
დერი 2:1 შელბურნი

## შვეიცარია

ჩელენჯლიგა. XI ტური
ბადენი 3:1 იუვენტუსი

*მალხაზ ასათიანის გადამწყვეტი გოლი და, მოსკოვის „ლოკომოტივი“ უეფას თასის ჯგუფშია. ქართველმა მცველმა 77-ე წუთზე თავურით გაათანაბრა ანგარიში, რასაც დინიარ ბილიალეტდინოვმა ბოლო წამზე ერთიც მიაყოლა და რკინიგზელებმა ნორვეგიული „ბრანი“ 3:2 დაამარცხეს. ასათიანისთვის წლევანდელ ევროტურნირებში ეს მეორე გოლია — ერთი მაკედონიურ „რაბოტნიჩკის“ გაუტანა, ახლა კი „ბრანს“... მოკლედ, მალხაზ ასათიანი დღეს „სარბიელის“ სტუმარია...*




# ასათიანის თავ ურა

## დაღლილ ლოკომოტივს დაღლილმა ქართველმა უშველა

— ასე თუ გაგიჭირდებოდათ „ბრანის“ დამარცხება, არავის ეგონა...

— ბოლო ხანებში მართლა ძალიან გვიჭირს. ეს უეფას თასზეც გამოჩნდა და ჩემპიონატშიც იგრძნობა. ძველებურად კარგად ველარ ვთამაშობთ. აქამდე ჩვენი უმთავრესი კოზირი სტაბილურობა იყო, რაც უკვე დავკარგეთ.

— და რა არის მიზეზი?

— გადაღლა. ზედიზედ ამდენი თამაში ძალიან დამღლელია. წარმოიდგინეთ, გუშინ თამაში გვქონდა და დღეს ისევ შეკრებაზე ვართ — პრემიერლიგის მატჩისთვის ვემზადებით. თითქმის ვერ ვისვენებთ და ჩავარდნაც ალბათ ამის ბრალია.

— ელოდით ამას?

— ვერ ვიტყვი, რომ ვიცოდით, როდის რა მოხდებოდა. უბრალოდ, თამაშ-თამაშ მივხვდით, რომ რაღაც ძველებურად არ გამოგვდიოდა. თავდაჯერება სადღაც გაქრა...

— „ბრანთან“ რომ ვერ მოგეგოთ, დიდი პრობლემები შეგექმნებოდათ...

— რა თქმა უნდა, ფსიქოლოგიურად ძალიან გაგვიჭირდებოდა. შეიძლება ითქვას, ამ თამაშმა სულზე მოგვისწრო.

— პრემიერლიგაში თქვენმა წაგებებმა ბევრი რამ არია — ცესკას მხოლოდ ორი ქულით უსწრებთ...

— ამაზე თუ ვინერვიულეთ,,არაფერი გამოვა. ჩემპიონობასთან ყველაზე ახლოს ჩვენ ვართ და ეს შანსი არ უნდა დავკარგოთ. უკვე ყველა თამაში ფინალივითაა. ექვსი ტური დარჩა და ვნახოთ, რა გამოგვივა.

— ისე ჩანს, „ლოკომოტივს“ საკმაოდ გრძელი სკამი აქვს, მაგრამ შემადგენლობა თითქმის არასოდეს იცვლება. გადაღლა ალბათ ამის ბრალიცაა...

— ვერაფერს ვიტყვი, ეს მწვრთნელის გადასაწყვეტია.

— ბრანთან“ მატჩს დავუბრუნდეთ: მთელი 90 წუთი მცველად თამაშობდი თუ შეტევაში წასვლის უფლებაც გქონდა?

— მცველი ვიყავი, წინ წასვლას ისე თავისუფლად ველარ ვახერხებდი, რადგან ერთი გაშვებული გოლიც და, ყველაფერი წყალში ჩაგვეყრებოდა.

— თუმცა კუთხურიდან მაინც იხეირე და კიდევ ერთი გადამწყვეტი გოლი გაიტანე თავით...

— ასეა და მიხარია, რომ გუნდის წარმატებაში ჩემი წვლილიც შევიტანე.

— უეფას თასზე რაღას გეგმავთ?

— ჩვენ ყველა თამაშზე მოსაგებად გავდივართ. უფრო კონკრეტული მიზანი არ გვაქვს. ვნახოთ, ვინ შეგვხვდება ჯგუფში.

— 8 და 12 ოქტომბერს საქართველოს ნაკრები ყაზახეთს და საბერძნეთს ეთამაშება. შეკრებაზე ალბათ ჩამოხვალ...

— რა თქმა უნდა, მოვდივარ. ნაკრებზე უარი არასოდეს მითქვამს.

**კახა შალამბერიძე**

# ბადრი პატარკაციშვილი: არავითარი ვესტ ჰემი

**დაახლოებით** ერთი თვის წინ რუსულ პრესაში გაჩნდა ინფორმაცია, ცნობილი ქართველი ბიზნესმენი და ქველმოქმედი ბადრი პატარკაციშვილი ლონდონის „ვესტ ჰემის“ შეძენას აპირებსო.

ჭორი გამოდგა: იმავ რუსული წყაროების ცნობით, საერთაშორისო კონცერნ MSI-მ, რომელიც ბრაზილიური „კორინთიანსის“ მფლობელია, თავის დროზე კი გამოთქვა „ვესტ ჰემის“ ყიდვის სურვილი, მაგრამ ლონდონური კლუბის ხელმძღვანელობამ მათ თანხის ფლობის მტკიცებულება მოსთხოვა, რის შემდეგაც ყოველგვარი საუბარი შეწყდა.

შეგახსენებთ, რომ „ვესტ ჰემის“ ირგვლივ არსებულ მითქმა-მოთქმაში პატარკაციშვილის გარდა რუსი ბიზნესმენი ბორის ბერეზოვსკიც ფიგურირებდა.


## განცხადება

„ს.კ. ბარსელონა“ (ესპანეთი) ტალანტების მოძიების პროგრამის ფარგლებში

„აბრეშუმის გზის კორპორაცია“ ატარებს ახალგაზრდა ფეხბურთელების შერჩევას, დაბადებულნი 1988, 89/90, 91/92, 93/94, 95/96, 97/98, 99/2000 წლის ჩათვლით.

რეგისტრაციის გავლა შესაძლებელია 26 სექტემბრიდან 26 ოქტომბრის ჩათვლით.

მსურველებს გთხოვთ, მობრძანდეთ მ. მესხის სახელობის სტადიონზე, ჭავჭავაძის 74-ში 11:00 საათიდან 16:00 საათამდე, ცენტრალური ლოჟის მე-2 სართულზე.

გთხოვთ, თან იქონიოთ მშობლის პირადობის დამადასტურებელი საბუთი და ბავშვის დაბადების მოწმობის ასლი. დამატებითი ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით ტელეფონზე: 23 04 58, მობ.: 899 55 98 55.

საქართველოს XVII ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა · პირველი წრე · 8 ტური

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა

# გლდანური ვიშ, ჯორჯია

## ამერმა და ვიტ ჯორჯიამ სტანდარტები გაცვალეს

თბილისი. 30 სექტემბერი. 16 საათი. ამერი. 900 (ტევადობა 900)

### ამერი 1:2 ვიტ ჯორჯია

1:0 სევასტოპულო (21), 1:1, 1:2 გელაშვილი (47, 61)

| | |
|---|---|
| **ამერი:** ნადირაშვილი, დავითნიძე, ხვადაგიანი, გ. კვახაძე, დობროვოლსკი (ელბაქიძე 80), დარსანია, კოშკაძე, ა. კაიდარაშვილი (სილაგავა 73), ხ. დავითაშვილი, სევასტოპულო, წინამძღვრიშვილი (ტატანაშვილი 61) სათადარიგონი: ნაჭყებია, გვაძაბია, გარუჩავა, ბუალავა | **ვიტ ჯორჯია:** ბედიაშვილი, აბშილავა, დ. ლომაია, თ. კობიაშვილი, ქუხილავა (ნ. გელაშვილი 46), ფეიქრიშვილი (რაზმაძე 69), გ. დათუნაიშვილი, დიღმელაშვილი, გველესიანი, სახოკია (ლ. მანჯავა 80), მარცვალაძე სათადარიგონი: მიქაბერიძე, ჯაფარიძე, გ. მელქაძე, ბერიაშვილი |
| **მწვრთნელი:** გიორგი ჩიხრაძე | **მწვრთნელი:** ნესტორ მუმლაძე |

**გაფრთხილება:** დავითნიძე (45), დარსანია (53), კაიდარაშვილი (60), გელაშვილი (61), ლომაია (64)

**მსაჯები:** ა. კრიჭაშვილი (თბილისი); გ. ჩიგოგიძე (სამტრედია), ზ. ხუციშვილი (დმანისი); მ. მაისურაძე (თბილისი)

**ინსპექტორი:** ს. კოტრიკაძე

**კობა ინასარიძე**

„ამერი" და „ვიტ ჯორჯია" ერთმანეთს მესამედ შეხვდნენ და აქედან მეორედ, ვეტერინარებმა ყვითლები მეორე ტაიმში დაამარცხეს. პირველად შარშან, სათასო საპასუხო მატჩისას ორბურთიანი სხვაობით დაწინაურებულ „ამერს" შეუტრიალა თამაში მეტოქემ და 5:2 იმარჯვა, გუშინ კი დავით სევასტოპულოს გოლს შესვენების შემდეგ ნიკა გელაშვილმა უპასუხა დუბლით და თავისიანებს ისევ „ტაიმ-ბოლით" მოაგებინა...

მასპინძლებმა მატჩი საკმაოდ გაბედულად დაიწყეს — მეტოქეს ერთბაშად სამი თავდამსხმელით დაუხვდნენ: სევასტოპულოსა და რატი წინამძღვრიშვილს შორის მთავარმეგოლე სულიკო დავითაშვილი თამაშობდა, ვინც ოდნავ უკანაც იწევდა და შეტევის ორგანიზებას ცდილობდა. ყვითლების ფორვარდებს შეტევისას სამი ჰავბეკიც მიჰყვებოდა, დაცვას კი ოთხნი ამაგრებდნენ, მათგან მარცხნივ დენის დობროვოლსკი ვიხილეთ, რომელსაც წინა მატჩებიდან საყრდენ ნახევარმცველად ვიცნობდით და, ცოტა გაგვიკვირდა კიდეც, ამერელთა თავკაცმა გიორგი ჩიხრაძემ ამპლუით სწორედ მარცხენა მცველ გიორგი ელბაქიძის თამაშს დობროვოლსკისთვის პოზიციის შეცვლა რომ არჩობინა. თუმც ნამატჩევს მასპინძელთა დამრიგებელმა ეს ცვლილება დობროვოლსკის ბრძოლისუნარიანობით ახსნა და დასძინა, დენისი თავის დროზე მარცხენა ფლანგზე ხშირად თამაშობდა და საამისო პრაქტიკაც ჰქონდაო. ფაქტი კი ისაა, გიორგი ჩიხრაძემ მეორე ტაიმში დობროვოლსკი სწორედ ელბაქიძით შეცვალა, ანუ, გვსურს ვთქვათ, რომ ელბაქიძეს ძირითადში ყოფნით ყვითლებისთვის, ეგებ, მეტი სარგებელი მოეტანა.

ეს მოკლედ ამერელთა ტაქტიკურ სქემაზე. რაც შეეხება „ვიტ ჯორჯიას", მწვრთნელმა ნესტორ მუმლაძემ საყოველთაოდ მიღებული 4-4-2 არჩია, შეტევაში ოთარ მარცვალაძისა და ზაზა სახოკიას დუეტით. ამჯერად, სტუმართა თავკაცმა ნიკა გელაშვილი სათადარიგოდ შემოინახა და, როცა ათამაშა, მატჩიც მოიგო: დუბლი დუბლად და, გელაშვილს ჰეთ თრიქიც შეეძლო, მაგრამ მეკარე ლადო ნადირაშვილმა მესამედ გატანა აღარ დაანება.

...მოედანზე ფეხბურთელთა განლაგებით, საფიქრალი იყო, რომ „ამერი" მეტოქეს თავიდანვე შეუტევდა და სტუმართა დაცვას პრობლემები არ მოაკლდებოდა.

ნურას უკაცრავად, „ვიტ ჯორჯიამ" შუა ხაზში იქით იმარჯვა, რის ხარჯზეც უპირატესობა მოიპოვა და ყვითლებს შესვენებამდე ორ-სამჯერ სახიფათოდაც დაემუქრა. გოლი კი სწორედ სტუმრების კარში ვიხილეთ: კუთხურიდან ალეკო კოშკაძის ჩაწოდებულ ბურთს სევასტოპულომ თავური ნახტომში დაჰკრა და თავისიანები დააწინაურა.

გოლით შეგულიანებულ მასპინძლებს ხელ-ფეხი გაეხსნათ და მწვავედ ათამაშდნენ. მაგალითად, წინამძღვრიშვილს ორჯერ ჰქონდა საშუალება, სტუმარი მცველების უყურადღებობით ესარგებლა და გრიგოლ ბედიაშვილთან პირისპირ დარჩენილიყო, მაგრამ ორჯერვე შეყოვნდა და ვიდრე ბურთი მარცხენა, მისთვის უფრო მოქნილ ფეხზე გადაიტანა, მომენტებიც დაიკარგა.

შესვენებაზე მარცვალაძე-სახოკიას თავდასხმის წყვილს, როგორც ვთქვით, „ვიტ ჯორჯიას" მწვრთნელმა გელაშვილი შეაშველა და შედეგიც ორ წუთში მიიღო: მოედნის ცენტრის სიახლოვეს დანიშნული ჯარიმიდან თენგიზ კობიაშვილმა ბურთი „ამერის" საჯარიმოსკენ გაგზავნა, სადაც სტუმართა ფორვარდმა წინ გამოსულ მეკარეს დაასწრო და ანგარიში თავურით გაათანაბრა. ახლა უკვე ფსიქოლოგიური უპირატესობა სტუმრებისა იყო და ისინიც უფრო თავდაჯერებით ათამაშდნენ. თავის მხრივ, „ამერიც" ბევრს ცდილობდა, თამაში თავის კარნახით წაეყვანა, მაგრამ ვეტერინარები არ ანებებდნენ და ამასობაში გელაშვილმა მეორე ბურთი შეაგდო — ისევ საჯარიმოდან დავით დიღმელაშვილმა ჩააწოდა, „ამერის" მეკარის ბაქანზე ბურთი მცველ-შემტევებს შორის აიბლანდა, რითაც გელაშვილმა ისარგებლა და გუნდი დააწინაურა.

მერე უკვე „ვიტ ჯორჯიას", კონკრეტულად, ოთარ მარცვალაძესა და იმავე გელაშვილს რამდენჯერმე შეექმნათ საგოლე შანსები, მაგრამ ზუსტად ველარ დაარტყეს. „ამერმა" კი მატჩის ბოლოსკენ ბოლო ძალით შეუტია, თავდამსხმელად ვიხილეთ ცენტრალური მცველი გიორგი დავითნიძეც, თუმც მასპინძლებს სახეირო აღარაფერი გამოსვლიათ.

„ვიტ ჯორჯიამ" დამსახურებული სამი ქულა მიითვალა.

### პრესკონფერენცია

*ნესტორ მუმლაძე:* ვულოცავ ჩემს ფეხბურთელებს გამარჯვებას. მათ იშრომეს და დავალება კარგად შეასრულეს. ვფიქრობ, მატჩის შემდეგ მაყურებელი კმაყოფილი დარჩა, დაძაბული თვალსასეირო თამაში გამოვიდა. „ამერი" კარგი, ტაქტიკურად განათლებული გუნდია და მალე უფრო ჩამოყალიბდება.

*გიორგი ჩიხრაძე:* „ვიტ ჯორჯია" გამოცდილი გუნდია. ჩვენ ვიცოდით, რომ მეტოქეს სტანდარტული მდგომარეობების კარგად შესრულება შეეძლო და საამისოდ ვემზადებოდით კიდეც, თუმც გოლები სწორედ სტანდარტულების შედეგად მივიღეთ. სამწუხაროა რომ წავაგეთ, მით უმეტეს, როცა ვიგებდით.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სიონი | 7 | 6 | 1 | 0 | 14:4 | 19 |
| ბორჯომი | 7 | 6 | 0 | 1 | 14:4 | 18 |
| ლოკომოტივი | 7 | 5 | 2 | 0 | 10:2 | 17 |
| ვიტ ჯორჯია | 7 | 5 | 1 | 1 | 12:5 | 16 |
| ამერი | 8 | 4 | 1 | 3 | 7:7 | 13 |
| ზესტაფონი | 6 | 4 | 0 | 2 | 5:3 | 12 |
| კოლხეთი | 7 | 4 | 0 | 3 | 5:6 | 12 |
| დინამო | 7 | 3 | 1 | 3 | 7:6 | 10 |
| ბათუმი | 7 | 3 | 1 | 3 | 3:4 | 10 |
| დილა | 7 | 3 | 0 | 4 | 7:7 | 9 |
| კახეთი | 7 | 3 | 0 | 4 | 6:10 | 9 |
| ცხინვალი | 7 | 2 | 0 | 5 | 4:8 | 6 |
| ტორპედო | 7 | 1 | 1 | 5 | 4:8 | 4 |
| სპარტაკი | 7 | 1 | 1 | 5 | 1:5 | 4 |
| სოხუმი | 7 | 1 | 1 | 5 | 7:14 | 4 |
| თბილისი | 7 | 0 | 0 | 7 | 2:14 | 0 |



ბადრი კეთილაძის ფოტო

დავით სევასტოპულოს გოლს ვეტერინარებმა მეორე ტაიმში ორით უპასუხეს

საქართველოს 17 ჩემპიონატი · პირველი · პირველი წრე

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა

### 7 ტური

**გურია 4:1 მესხეთი**

**გაგრა 1:0 ზუგდიდი**

**მაღაროელი 0:1 მეშახტე**

**ლოკომოტივი 2 1:6 ჩიხურა**

**მერანი 3:0 ლიახვი**

**რუსთავი 4:2 ზესტაფონი 2**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ამერი 2 | 7 | 5 | 1 | 1 | 10:4 | 16 |
| დინამო 2 | 7 | 4 | 2 | 1 | 14:3 | 14 |
| ჩიხურა | 6 | 4 | 1 | 1 | 19:6 | 13 |
| გურია | 7 | 4 | 1 | 2 | 18:10 | 13 |
| რუსთავი | 7 | 4 | 1 | 2 | 13:10 | 13 |
| მერანი | 7 | 3 | 3 | 1 | 8:3 | 12 |
| მეშახტე | 7 | 3 | 2 | 2 | 9:5 | 11 |
| საგარეჯო | 7 | 3 | 2 | 2 | 6:5 | 11 |
| მესხეთი | 6 | 3 | 2 | 1 | 8:8 | 11 |
| ზუგდიდი | 7 | 3 | 2 | 2 | 3:3 | 11 |
| მეშაქრე | 7 | 3 | 2 | 2 | 6:7 | 11 |
| გაგრა | 7 | 2 | 4 | 1 | 3:3 | 10 |
| ლოკომოტივი 2 | 7 | 3 | 1 | 3 | 5:8 | 10 |
| ვიტ ჯორჯია 2 | 7 | 1 | 2 | 4 | 5:9 | 5 |
| თბილისი 2 | 7 | 1 | 1 | 5 | 5:14 | 4 |
| მაღაროელი | 7 | 1 | 1 | 5 | 4:14 | 4 |
| ლიახვი | 7 | 1 | 0 | 6 | 7:17 | 3 |
| ზესტაფონი 2 | 7 | 0 | 0 | 7 | 6:20 | 0 |

# ამერული მაგალითი



**სასიამოვნო** სიახლე თბილისური „ამერისგან": ის, რაც საქართველოს ჩემპიონატში სხვა კლუბებს ჯერ არ გაუკეთებიათ, (ყოველ შემთხვევაში, ვერ ვიხსენებთ), უმაღლეს ლიგაში გადასვლის შემდეგ „ამერმა" დაიწყო — ამ კლუბის პრესსამსახური ყოველი საშინაო მატჩისას პროგრამას ბეჭდავს.

გუშინდელი „ამერი" — „ვიტ ჯორჯიას" პროგრამა, ისევე როგორც წინა სამი გლდანური მატჩისა, უკვე ისტორიაა, მომავლისთვის კი გაითვალისწინეთ, პროგრამაში მატჩამდელი საინტერესო ამბები წერია.

*„გამარჯობათ, მე ალექსანდრე იაშვილი ვარ..."*
*...ხომ გაინტერესებდათ, რა ხდება დღეს საქართველოს ნაკრებში და რას ფიქრობს გუნდიდან წასული „ფრაიბურგის" კაპიტანი? ჰოდა, აგერ, თქვენი კითხვები და „იაშკას" პასუხები...*

# თქვენი ინტერვიუ ალექსანდრე იაშვილთან

## «ფრაიბურგი» გერმანია



### უშანგი რუხაძე

— გაიოზ დარსაძე ნაკრებში ისეთ პოზიციებზე ათამაშებს ფეხბურთელებს (მაგალითად, ასათიანს, კობიაშვილს, მენთეშაშვილს), სადაც ისინი კლუბებში არ თამაშობენ. შენი აზრით, არის თუ არა ნაკრებში ასეთი ცდების ჩატარების დრო?

— რა გითხრათ, არის თუ არა ექსპერიმენტების დრო, ეს მწვრთნელის გადასაწყვეტია. კობიაშვილს „შალკეში" მარცხენა მცველად ხშირად უთამაშია, „ლოკომოტივში" ასათიანის მცველობა კი მართლაც საცოდაობაა, მალხაზის ადგილი სწორედაც რომ ნახევარდაცვაშია, თავდამსხმელების უკან.

**— დიდი ხანია, ცდილობ, უკეთეს გუნდში გადახვიდე, ვინაიდან, ბევრის აზრით, „ფრაიბურგში" შენი თავი ამოწურე. იქნებ, შენი აგენტი არასათანადოდ ეკიდება ამ საქმეს?**

— ჩემი აგენტი მართლაც დაინტერესებულია, კარგ გუნდში გადავიდე, მაგრამ მარტო ჩემ სურვილზე არაფერია დამოკიდებული. თუ ეს გადავწყვიტე, მხოლოდ გაცილებით მაღალი დონის გუნდში წავალ. ადრე მართლაც მქონდა ამის შანსი, მაგრამ დარჩენა ვამჯობინე. თანაც, ახლა „ფრაიბურგის" კაპიტანი ვარ.

**— როგორ ფიქრობ, მომავალი შესარჩევი ციკლისთვის საქართველოს ექნება ისეთი ბრძოლისუნარიანი ნაკრები, როგორიც ახლა უკრაინას ჰყავს?**

— უკრაინას ყველაზე გამორჩეული მხოლოდ ერთი ფეხბურთელი, ანდრეი შევჩენკო ჰყავს. ვფიქრობ, ჩვენი მოთამაშეები უკრაინელებს არაფრით ჩამოუვარდებიან. იმედია, ადრე თუ გვიან რაღაც ჩვენთვისაც შეიცვლება.

**— ნაკრების მწვრთნელი რომ იყო, რას შეცვლიდი?**

— როცა მწვრთნელი გავხდები, პასუხსაც მაშინ გაგცემთ.

**— ვის ისურვებდი საქართველოს ნაკრების მწვრთნელად?**

— უმაღლესი დონის სპეციალისტს. რაც უნდა კარგი ფეხბურთელები გყავდეს, თუ მწვრთნელი არ არის მცოდნე და გამოცდილი, არაფერი გამოვა. კონკრეტულად კი ახლა ვერავის დავასახელებ.

**— როგორ მუსიკას უსმენ და რა მარკის ავტომანქანა გყავს გერმანიაში?**

— „მერსედესი". რაც შეეხება მუსიკას, ყველანაირს ვუსმენ: უპირველესად ქართულს, აგრეთვე სოულს, პოპს...

### ლევან დანდურიშვილი

**— ყოველი სეზონის ბოლოს „ფრაიბურგიდან" მიდიხარ, მაგრამ მაინც იქ რჩები. რა გიშლის ხელს, რომ უკეთეს გუნდში გადახვიდე?**

— ხელს ნამდვილად არაფერი მიშლის. წინა კითხვასაც ვუპასუხე: თუ წავალ, მხოლოდ და მხოლოდ კარგ გუნდში. შემოთავაზებები, რა თქმა უნდა, მქონდა, მაგრამ ხან პირობები არ მომწონდა, ხანაც გუნდები. მოკლედ, ასე შემოვრჩი „ფრაიბურგს" შვიდი წელიწადი.

### გიორგი ნავროზაშვილი

**— შესაძლებელია თუ არა, ალექსანდრე იაშვილმა თბილისის „დინამოში" დაასრულოს კარიერა და, სულ ცოტა, ერთი სეზონით მაინც დაეხმაროს მშობლიურ კლუბს?**

— დღეს ამის შანსი უბრალოდ არ არსებობს, საქართველოში ბევრი რამ უნდა შეიცვალოს. შვიდირვა წლის მერე რა იქნება, არ ვიცი. ვნახოთ, გამორიცხული არაფერია.

**— რატომ არ ლაპარაკობთ ლეგიონერები გახსნილად იმ პრობლემებზე, რაც გუნდშია და რატომ არ იღებთ პასუხისმგებლობას საკუთარ თავზე?**

— პასუხისმგებლობას ნამდვილად არ გავურბივართ. მერწმუნეთ, ყველაფერს ვაკეთებთ წარმატებისთვის, მაგრამ, თუ არ გამოგვდის, მერე მიზეზების ძებნას იწყებენ, რაც ძალიან იოლია.

### დავით ფხაკაძე

**— გაქვთ თუ არა სურვილი, სხვა ქვეყნის ჩემპიონატში ითამაშოთ?**

— ბუნდესლიგიდან წასვლა ნაღდად არ მსურს. უკვე 27 წლის ვარ და იმედი მაქვს, „ფრაიბურგზე" უკეთეს გუნდში აუცილებლად გადავალ.

### გიორგი გველესიანი

**— რას ნიშნავს თქვენთვის „ფრაიბურგის" კაპიტნობა?**

— ძალიან ბევრს. როცა ლეგიონერს კაპიტნად აგირჩევენ, ეს დიდი პატივი და პასუხისმგებლობაა. გუნდს შენი იმედი აქვს.

**— ამ ზაფხულს გქონდათ თუ არა შემოთავაზება სხვა გუნდებიდან?**

— დიახ, მქონდა: „ნიურნბერგი" და „მიონხენგლადბახი" მიწვევდნენ, მაგრამ „ფრაიბურგში" დავრჩი. არ მსურდა, კვლავ ბუნდესლიგაში დარჩენისთვის მებრძოლ გუნდში მეთამაშა, თანაც პირობები არ მომეწონა.

### ლევან სტურუა

**— „იაშკა", მაგარი ფეხბურთელი ხარ. საქართველოს ყველა დროის ნაკრების შენეული ვარიანტი საინტერესო იქნებოდა...**

— ძნელია პასუხის გაცემა, ძალიან ბევრი ფეხბურთელია და არ მინდა, ვინმე გამომრჩეს. ქეცბაია, ქინქლაძე, კობიაშვილი, კალაძე, ცხადაძე, ჯამარაული, შოთა და არჩიკო არველაძეები... რომელი ერთი ჩამოვთვალო?!

### შალვა ხაჩიძე

**— ვფიქრობ, ქეცბაიას მერე ასეთი პროფესიონალი დღეს ნაკრებში არ არის და იქნებ, იაშვილმა მაინც თქვას, რა ხდება დღეს ნაკრებში?..**

— თემურ ქეცბაია დიდი ფეხბურთელი იყო, რომელმაც ბევრი ფასდაუდებელი საქმე გააკეთა ნაკრებისთვის. დღეს კი... დღეს, არა მგონია, ნაკლები პროფესიონალები იყვნენ ნაკრებში. კონკრეტულად თქმა ძნელია, უამრავი პრობლემაა, წლების მანძილზე რომ დაგროვდა, ცალკეულზე ლაპარაკი ძალიან შორს წაგვიყვანს.

### ვარლამ მებონია

**— რა დონის მწვრთნელია გაიოზ დარსაძე?**

— ვფიქრობ, ჩემგან კორექტული არ იქნება ახლა ამაზე ლაპარაკი. ბავშვობაში ჩემი მწვრთნელი იყო 16-წლამდელთა ნაკრებში. ხოლო რაც უკრაინასთან მატჩის წინ მოხდა, ეს ჩემთვის უკვე წარსულია. უბრალოდ, ჩვენი აზრები არ დაემთხვა. დანარჩენზე ვერაფერს ვიტყვი.

**— მის პლუსებზე რას იტყვი?**

— ამაზეც ვერაფერს გეტყვით. ვფიქრობ, არ ღირს ჩაკირკიტება...

**— როცა ნაკრებიდან წახვედი, ნოდარ ახალკაცთან თუ გქონდა შეხვედრა და რაზე ილაპარაკეთ?**

— ბატონ ნოდარს, ცხადია, შევხვდი და ჩემს საქციელზე ვისაუბრეთ. მე ჩემი ვუთხარი, ყველაფერი დაწვრილებით ავუხსენი და წამოვედი. მას მერე ნოდარ ახალკაცთან კავშირი არ მქონია.

### ანზორ დარჯანია

**— უნდა იყოს თუ არა გაიოზ დარსაძე საქართველოს ნაკრების მწვრთნელი?**

— უპასუხოდ. ჩემგან ლამაზი არ იქნება, კუდს გამოაბამენ...






# ლიმა, მიხედე შენს საქმეს!

**„კოპენჰაგენი“ — „ჰამბურგის“** მატჩის მსაჯს ჯიბე გაუცვდა ყვითელ-წითელი ბარათების წარამარა ამოღებით. „ფეხებზე ნადირობის სეზონი“ ჰამბურგელმა გიდემელმა პირველი ტაიმის მიწურულს გახსნა, მერე კი წავიდა ერთიმეორის წვივ-კოჭების „მოკითხვა“, რაც 12 ყვითელი და სამი წითელი ბარათის აფრიალებით დასრულდა.

მეორე ტაიმის დასაწყისში მასპინძელმა გრავგარაარდმა საჯარიმოში ხელით ითამაშა, რასაც პენალტი მოჰყვა, მაგრამ ბარბარესის დარტყმული მეკარემ მოიგერია.

მატჩის ბოლო წუთზე მსაჯმა კიდევ ერთხელ დაინახა „ხელბურთი“ ტომასენის შესრულებით და მეორე პენალტი დანიშნა, რომელიც რაფაელ ვან დერ ვაარტმა გაიტანა და „ჰამბურგს“ მოაგებინა.

ლევერკუზენის „ბაიერმა“ სოფიის ცსკა-ს თავი დაუხარა, რუდი ფიოლერმა კი ბულგარელებთან წაგების შემდეგ თქვა: „მთელი გუნდი დაღონებულია. თავი არ დაგვიზოგავს, მაგრამ 180 წუთის განმავლობაში გოლს რომ ვერ გაიტან, ჯგუფურ ეტაპსაც ვერ ეღირსები“.

ჯოვანი ტრაპატონის „შტუტგარტი“ სლოვენიაში ორბურთიანი ფორით ჩავიდა და „დომჟალე“ მეთექვსმეტე წუთზე სტუვანოვიჩის გოლით დაწინაურდა. შტუტგარტელებმა გვარიანად ინერვიულეს და მხოლოდ მაშინ ამოისუნთქეს, როცა მასპინძლებს 67-ეზე ელსნერი გაუძევეს. კაცნაკლული „დომჟალეს“ შეტევები ბუნდესლიგელებისთვის უფრო იოლი მოსაგერიებელი გახდა. გერმანული გუნდი ჯგუფურ ეტაპზე გაძვრა, მაგრამ მარცხის გამო იტალიელ მწვრთნელს კრიტიკის ულუფა არ ასცდა.

ბერლინის „ჰერტას“ ნიქოზიის „აპოელთან“ თამაშის დაწყებიდან ერთი საათის თავზე საქმე უკვე მომთავრებული ჰქონდა. მარსელინიოს, ნანდო რაფაელისა და კაიროს გოლებს კვიპროსელმა მაკრიდისმა ერთით უპასუხა.

„მაინცმა“ ორი კვირის წინ სევილიიდან უგოლო ფრე წაიღო შინ მოგების იმედად, თუმც ესპანური გუნდის ფორვარდმა ფრედერიკ კანუტემ პირველ ტაიმში დუბლი შეასრულა და გერმანელები უეფას თასიდან დაითხოვა.

რუსეთის ჩემპიონატში არაფრის მაქნის „კრილია სოვეტოვს“ რატომღაც „ალკმაართან“ „ჭიდაობა“ მოეწონა. ჰოლანდიელებს ორბურთიანი სხვაობა უნდა გაებათილებინათ. როგორც ლუის ვან გაალის გუნდებს სჩვევიათ, „ალკმაარმა“ შეუტია, რასაც ... მასპიძლების კარში გოლი მოჰყვა. სამარელთა ბაბა ადამუმ „მაკრატელათი“ კოხტა გოლი გაიტანა. ბარი ვან გალენმა ტაიმის მიწურულს გაათანაბრა და დამხვდურები შესვენების შემდეგ გუნებაგამოკეთებულნი გამოვიდნენ. 70-ე წუთზე ბაბა ადამუ გააძევეს, ხოლო კოვერმანსმა „ალკმაარი“ დააწინაურა. ორი მატჩის ჯამში მოსაგებად ჰოლანდიელებს მესამე გოლიც სჭირდებოდათ. შეხვედრის დასრულებამდე ოთხი წუთით ადრე ლანძაატმა პენალტით იხეირა და ფურცელ-კალმიანი ლუის ვან გაალი სკამიდან წამოახტუნა.

მოსკოვის „ლოკომოტივი“ ლიმას ვერგატანილმა პენალტმა არია და ათკაცა „ბრანმა“ ორჯერ დაწინაურება მოახერხა, თუმც „ლოკომ“ მაინც შეძლო თამაშის სათავისოდ შემობრუნება. რატომ დაარტყა ლიმამ პენალტი? მასპინძელთა მწვრთნელმა ვლადიმერ ეშტრეკოვმა კითხვას ასე უპასუხა: „თერთმეტმეტრიანი საჯარიმოების შესრულება მას არ ევალება. ჩვენ გვყავს მამინოვი, იზმაილოვი და ბილიალეტდინოვი. ლოსკოვმა შესვენებისას მითხრა, ლიმამ ბურთს ხელი სტაცა და წართმევა მეუხერხულაო“.

„ბრანი“ 74-ე წუთისთვის 2:1 იგებდა და თამაში დამატებითი დროისკენ მიექანებოდა, როცა „ლოკოს“ მხსნელად მალხაზ ასათიანი მოევლინა, რომელმაც ნაკუთხურალი ბურთი სტუმართა კარში შეაბრძანა. მატჩის ბოლო წუთზე ბილიალეტდინოვმა მესამე მიაყოლა და ლიმას თავნებობით გაბრაზებული ეშტრეკოვი დააწყნარა.

უეფას თასის მფლობელმა ცსკამ სტუმრად „მიდტიულანდთან“ მოსკოვური ანგარიში (3:1) გაიმეორა. დანიელები ნილსენის გოლით მეთოთხმეტე წუთზე დაწინაურდნენ, მაგრამ მეორე ტაიმში ცსკა-ს ფანთა ჯილამ კარვალიუმ აფრები აუშვა და ორი ლამაზი გოლი მიითვალა, მის გოლებს შორის კი ერთი სამოდინმა გაიტანა.

სანკტ პეტერბურგის „ზენიტმა“ გასულ უქმეებზე ჩემპიონატში შინ „შინიკს“ ვერ მოუგო, მაგრამ ათენში აეკ-ს აჯობა. ანდრეი არშავინმა 89-ე წუთზე ნევისპირელთა გამარჯვებისა შეაგდო.

თემურ ქეცბაიას გარეშე „ანორთოსისმა“ „პალერმოს“ საკადრისი წინააღმდეგობა ვერ გაუწია. ანდრეა კარაჩოლომ თამაშის დასაწყისშივე დააწინაურა სიცილიელები, რასაც მეორე ტაიმში მაკინვას დუბლი და სანტას კიდევ ერთი გოლი მოჰყვა. იტალიური გუნდის მწვრთნელმა ლუიჯი დელ ნერიმ ნამატჩევს განაცხადა: „ამ გამარჯვებით ჩემპიონატში „ლაციოსთან“ მარცხი დავივიწყეთ. ფეხბურთელები კარგ ფორმაში არიან და ვფიქრობ, რომ სწორ გზაზე ვდგავართ“.

„რომა“ სალონიკში „არისთან“ უგოლო 5:1-ის შემდეგ. ლუჩანო სპალეტიმ ძირითად შემადგენლობაში ითამაშა იტალიაში დაბადებული ნიგერიელი სტეფანო ოკაკა, რომელსაც აგვისტოში 16 წელი შეუსრულდა.

სოფიის „ლევსკიმ“ ოსერში პირველი მატჩი 1:2 წააგო, შინ კი 1:0 მოიგო და უეფას თასზე გზა გააგრძელა. კოპრივასოვმა 27-ე წუთზე გაიტანა გოლი, რომელიც ფრანგთა თავკაცის ჟაკ სანტინის აზრით, არ უნდა ჩათვლილიყო: „ტრავმირებული ბულგარელი ფეხბურთელი მოედანზე იწვა, „ლევსკიმ“ მეკარემ ბურთი აუტზე გადააგდო, საიდანაც ჩვენ უნდა შემოგვეტანა, მაგრამ მასპინძლებმა შემოიტანეს და ამას გოლი მოჰყვა. რაკი ეს მსაჯის შეცდომა იყო, ამიტომ უეფაში გასაჩივრებას ვაპირებთ“.

**ვაჟა ხუციშვილი**



ჟოაო ალვეშის (მარცხნივ) „სპორტინგმა“
დუშან ჯუკიჩის „ჰალმშტადის“ დამარცხება ვერ შეძლო

## უეფას თასი 2005-2006
## პირველი ეტაპი. საპასუხო მატჩები

**ანართოსისი** (კვიპროსი) 0:4 ***პალერმო*** *(იტალია)* (1:2)
0:1 კარაჩოლო (5), 0:2 მაკინვა (46), 0:3 სანტანა (53), 0:4 მაკინვა (68)
**ანართოსისი:** გეორიალიდესი, კაცებაკისი, ქსენიდისი, ჰაბერი, ჰაჯი, ლუკა, ნიკოლაუ (მარაგოსი 58), კამპანტაისი (ტოკოლო 46), ფრუსოსი, პორსატიდისი, **წიტაიშვილი** (ბრისი 69)
**მწვრთნელი:** თემურ ქეცბაია

***ლოკომოტივი*** *(რუსეთი)* 3:2 **ბრანი** (ნორვეგია) (2:1)
0:1 მაკალისტერი (45), 1:1 ლოსკოვი (63), 1:2 მილერი (74), 2:2 ასათიანი (78), 3:2 ბილიალეტდინოვი (90)
**ლოკომოტივი:** ოვჩინიკოვი, კრუგლოვი, სენნიკოვი, გურენკო, **ასათიანი**, ლიმა, ბილიალეტდინოვი, ლოსკოვი, მამინოვი (ხოხლოვი 46), იზმაელოვი (ბიკეი 67), რუპოლო (ლებედენკო 79)
**გაძევება:** ოპდალი (33, ბრანი)

***ალკმაარი*** *(ჰოლანდია)* 3:1 **კრილია** (რუსეთი) (3:5)
0:1 ადამი (16), 1:1 ვან გალენი (45), 2:1 კუვერმანსი (80), 3:1 ლანძაატი(8ნპ)
**ალკმაარი:** ტიმერი, დე კლერი, იალენსი, ლანძაატი, დე ზეუვი (ჰუისგემსი 59), შაარსი, სეკტუი (სტეინსონი 77), პერესი, **არველაძე** (ბუსკერმოლენი 90), ვან გალენი
**გაძევება:** ადამუ (71, კრილია)

**ქსანთი** (საბერძნეთი) 0:0 ***მიდლსბრო*** *(ინგლისი)* (0:2)
**ქსანტი:** პიზანოვსკი, პაპადიმიტრიუ, ანცასი, ზიკოვი, პავიოტი, მოიზესი, ლუსიანუ, ტოროსიდისი (კაცაკისი 46), **მაღრაძე** (გარპოცისი 77), ანდრადე (მინეილო 59), ლაბრიაკოსი

***ლევსკი*** *(ბულგარეთი)* 1:0 **ოსერი** (საფრანგეთი) (1:2)
**კოპენჰაგენი** (დანია) 0:1 ***ჰამბურგი*** *(გერმანია)* (1:1)
**კორკი** (ირლანდია) 1:2 ***სლავია*** *(ჩეხეთი)* (0:2)
**მეტალურგი** (უკრაინა) 2:2 ***პაოკ*** *(საბერძნეთი)* (1:1)
**ევერტონი** (ინგლისი) 1:0 ***დინამო*** *(რუმინეთი)* (1:5)
**მიუპა** (ფინეთი) 0:3 ***გრასჰოპერი*** *(შვეიცარია)* (1:1)
**ბრაგა** (პორტუგალია) 1:1 ***ცრვენა ზვეზდა*** *(სერბეთი)* (0:0)
**მარსელი** (საფრანგეთი) 0:0(პენ.4:1) **ბეერსხოტი** (ბელგია) (0:0)
***ცსკა*** *(ბულგარეთი)* 1:0 **ლევერკუზენი** (გერმანია) (1:0)
**მიდტიულანდი** (დანია) 1:3 ***ცსკა*** *(რუსეთი)* (1:3)
***სამპდორია*** *(იტალია)* 1:0 **სეტუბალი** (პორტუგალია) (1:1)
**მაინცი** (გერმანია) 0:2 ***სევილია*** *(ესპანეთი)* (0:0)
**შიროკი ბრიეგი** (ბოსნია) 0:1 ***ბაზელი*** *(შვეიცარია)* (0:5)
***რაპიდი*** *(ავსტრია)* 1:0 **ფეიენოორდი** (ჰოლანდია) (1:1)
***დნიპრო*** *(უკრაინა)* 5:1 **ჰიბერნიანი** (შოტლანდია) (0:0)
**ოსასუნა** (ესპანეთი) 0:0 ***რენი*** *(საფრანგეთი)* (1:3)
**ვისლა** (პოლონეთი) 0:1 ***გიმარაეში*** *(პორტუგალია)* (0:3)
**დომჟალე** (სლოვენია) 1:0 ***შტუტგარტი*** *(გერმანია)* (0:2)
***სტიაუა*** *(რუმინეთი)* 3:1 **ვოლერენგა** (ნორვეგია) (3:0)
***სტრასბური*** *(საფრანგეთი)* 5:0 **გრაცერი** (ავსტრია) (2:0)
**სპორტინგი** (პორტუგალია) 1:2(დ.დ.2:3) ***ჰალმშტადი*** (შვედეთი) (2:1)
**პარტიზანი** (სერბეთი) 2:5 ***მაკაბი*** *(ისრაელი)* (2:0)
**არისი** (საბერძნეთი) 0:0 ***რომა*** *(იტალია)* (1:5)
**მალმიო** (შვედეთი) 1:4 ***ბეშიქთაში*** *(თურქეთი)* (1:0)
**გენკი** (ბელგია) 0:1 ***ლიტექსი*** *(ბულგარეთი)* (2:2)
***ჰერენვენი*** *(ჰოლანდია)* 5:0 **ბანიკი** (ჩეხეთი) (0:2)
***ჰერტა*** *(გერმანია)* 3:1 **აპოელი** (კვიპროსი) (1:0)
***ესპანიოლი*** *(ესპანეთი)* 2:0 **ტეპლიცე** (ჩეხეთი) (1:1)
**ტილბურგი** (ჰოლანდია) 1:3 ***მონაკო*** *(საფრანგეთი)* (0:2)
**აუსტრია** (ავსტრია) 2:1 ***ვიკინგი*** *(ნორვეგია)* (0:1)
**ციურიხი** (შვეიცარია) 2:1 ***ბრონდბიუ*** *(დანია)* (0:2)
**ვროცლინი** (პოლონეთი) 2:4 ***ლანსი*** *(საფრანგეთი)* (1:1)
**გალათასარაი** (თურქეთი) 1:1 ***ტრომსიო*** *(ნორვეგია)* (0:1)
**ლოკომოტივი** (ბულგარეთი) 1:2 ***ბოლტონი*** *(ინგლისი)* (1:2)
**დებრეცენი** (უნგრეთი) 0:2 ***შახტარი*** *(უკრაინა)* (1:4)
**აეკ** (საბერძნეთი) 0:1 ***ზენიტი*** *(რუსეთი)* (0:0)



ბუქარესტელები „ევერტონის“ ძლევას ხარობენ

# იტალია

*კოტე კანდელაკი*

| VI ტური | | |
|---|---|---|
| **დღეს** | | |
| კიევო | : | ტრევიზო |
| უდინეზე | : | ლაციო |
| **ხვალ** | | |
| ასკოლი | : | პარმა |
| ფიორენტინა | : | ლივორნო |
| იუვენტუსი | : | ინტერი |
| ლეჩე | : | კალიარი |
| მესინა | : | სამპდორია |
| მილანი | : | რეჯინა |
| პალერმო | : | ემპოლი |
| რომა | : | სიენა |

**სატურნირო ვითარება**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იუვენტუსი | 5 | 5 | 0 | 0 | 10:2 | 15 |
| ინტერი | 5 | 4 | 0 | 1 | 10:3 | 12 |
| ლივორნო | 5 | 3 | 2 | 0 | 5:1 | 11 |
| მილანი | 5 | 3 | 1 | 1 | 9:4 | 10 |
| ფიორენტინა | 5 | 3 | 1 | 1 | 11:7 | 10 |
| ლაციო | 5 | 3 | 1 | 1 | 9:6 | 10 |
| პალერმო | 5 | 3 | 1 | 1 | 9:8 | 10 |
| სამპდორია | 5 | 3 | 0 | 2 | 9:7 | 9 |
| კიევო | 5 | 3 | 0 | 2 | 6:4 | 9 |
| რომა | 5 | 2 | 2 | 1 | 7:2 | 8 |
| სიენა | 5 | 2 | 1 | 2 | 9:9 | 7 |
| უდინეზე | 5 | 2 | 0 | 3 | 4:7 | 6 |
| ემპოლი | 5 | 2 | 0 | 3 | 4:7 | 6 |
| პარმა | 5 | 1 | 1 | 3 | 4:8 | 4 |
| მესინა | 5 | 0 | 3 | 2 | 5:8 | 3 |
| კალიარი | 5 | 0 | 3 | 2 | 4:7 | 3 |
| ასკოლი | 5 | 0 | 3 | 2 | 3:6 | 3 |
| რეჯინა | 5 | 1 | 0 | 4 | 5:10 | 3 |
| ლეჩე | 5 | 0 | 1 | 4 | 2:9 | 1 |
| ტრევიზო | 5 | 0 | 0 | 5 | 1:11 | 0 |

# ინტერმა უნდა დაამტკიცოს

ეროვნული ბიბლიოთეკა




ტურინელებს მილანის „ინტერთან" მძიმე ბრძოლა ელით

**„მათ** სუპერთასზე უფრო მეტი უნდა მოიგონ, თუ სურთ დაამტკიცონ, რომ ჩვენზე ძლიერები არიან. „ინტერმა" ბოლო ორ შეხვედრაში დაგვამარცხა, მაგრამ ორივე მატჩში ბევრად უკეთ ვითამაშეთ და უიღბლობისა თუ მსაჯების შეცდომების გამო ვერ მოვიგეთ. იმედია, ეს აღარ განმეორდება. სწრაფი ვილი შეხვედრას უფრო დაძაბულს და საინტერესოს გახდის" — განაცხადა „იუვენტუსის" ნახევარმცველმა პაველ ნედვედმა.

დიახ, ხვალ საფეხბურთო სამყაროში ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული მატჩია, იტალიის დერბი — „იუვენტუსი" „ინტერს" მასპინძლობს. ამ გუნდების დაპირისპირება ყოველთვის განსაკუთრებული იყო, თუმცა ვითარება მას მერე უფრო გამწვავდა, რაც 2002 წელს ტურინელებმა „ლაციოს" ვუკაცობის წყალობით მრავალი წლის ნანატრი სკუდეტო შავ-ლურჯებს ჩემპიონატის ბოლო ტურში ცხვირწინ ააცალეს.

სერია A-ს დაწყებიდან მხოლოდ 5 ტური მიილია და ჯერ ბრძოლა წინ არის, მაგრამ ყველა ერთსულოვანია იმაში, რომ ამ მატჩის შედეგს უდიდესი მნიშვნელობა აქვს და მომავალზე დიდ გავლენას მოახდენს. თუ „იუვენტუსმა" მეორე ადგილზე მყოფი „ინტერიც" დაამარცხა და ზედიზედ მეექვსე მატჩი მოიგო, ფაბიო კაპელოს გუნდი უკვე აშკარა ფავორიტად იქცევა.

მასპინძლებს კვლავ რომ არ ეყოლებათ ჯონათან ძებინა და ჯანლუიჯი ბუფონი, ალბათ მოგეხსენებათ, სტუმრები კი „დელე ალპიზე" ხავიერ ძანეტის, სინიშა მიხაილოვიჩსა და კრისტიანო ძანეტის ვერ დაიხმარენ. „ინტერის" კარს თავიდან ალბათ დავიდ ტრეზეგე და ზლატან იბრაჰიმოვიჩი შეუტევენ, ალექს დელ პიერო კი კვლავ სკამზე დაიწყებს. ხოლო მილანელების თავდამსხმაში ადრიანო და მარტინსი იქნებიან.

მეორე მილანური კლუბი „რეჯინას" მასპინძლობს. მასპინძლებს მასიმო ამბროზინი და მარეკ იანკულოვსკი დააკლდებიან. შესაძლოა, ამ შეხვედრაში მინდორს მომჯობინებული ფილიპო ინძაგი დაუბრუნდეს, რომელიც განაცხადშია. რეჯო კალაბრიელებს კი საქმე უფრო რთულად აქვთ. მოგეხსენებათ ფეხბურთს ექვსი თვით ჩამოშორდა მათი ერთ-ერთი ლიდერი როლანდო ბიანკი. არ იქნებიან აგრეთვე ძირითადი გოლკიპერი ივან პელიცოლი და ახალგაზრდა პლეიმეიკერი ილიას ზეიტულაევი.

კიდევ ერთი საინტერესო მატჩი შედგება „სტადიო ფრიულიზე". უდინეს" „ლაციო" ეწვევა. მასპინძელთა ძირითად შემადგენლობაში კვლავ ითამაშებს ვინჩენცო იაკინტა, რომელმაც გუშინ უკვე ყველასთვის მოულოდნელად გუნდთან კონტრაქტი 2009 წლამდე გაახანგრძლივა და კონფლიქტიც მოგვარდა. სამაგიეროდ, დისკვალიფიკაციის გამო ვერ ითამაშებს ფაუსტო როსინი, ხოლო ჯამპიერო პინცის ტრავმა აქვს. რაც შეეხებათ დედაქალაქელებს, იგლი ტარე და რობერტო ბარონიო ისევ ტრავმებს იშუშებენ, ხოლო პაოლო დი კანიო გუნდის თავკაცი დელიო როსის გადაწყვეტილებით ცოტა ხანს დაისვენებს.

ბოლოს „რომასა" და „სიენას" მატჩზეც ვთქვათ. მასპინძლებთან ლაზარეთში მანსინის კუფრეც შეუერთდა. სამაგიეროდ, მინდორზე გასასვლელად მზად არიან ანტონიო კასანო, კრისტიან კივუ და ფილიპ მექსეში.

**წინა ტურის სიმბოლური ნაკრები** 3-4-3

**კოცა** *რეჯინა*
**როკი** *ლაციო*
**ლოკატელი** *სიენა*
**მანფრედინი** *ლაციო*
**კაკა** *მილანი*
**კამორანეზი** *იუვენტუსი*
**კამბიასო** *ინტერი*
**უიფალუში** *ფიორენტინა*
**მატერაცი** *ინტერი*
**ოდო** *ლაციო*
**ფრეი** *ფიორენტინა*

**გუნდი: ლაციო**
**მწვრთნელი: რობერტო მანჩინი (ინტერი)**

# ესპანეთი

*ლადო ხომერიკი*

| VI ტური | | |
|---|---|---|
| **დღეს** | | |
| ბარსელონა | : | სარაგოსა |
| ხეტაფე | : | ვალენსია |
| **ხვალ** | | |
| ვილიარეალი | : | ბილბაო |
| სევილია | : | ესპანიოლი |
| კადისი | : | სელტა |
| დეპორტივო | : | ოსასუნა |
| სოსიედადი | : | ბეტისი |
| მალაგა | : | ატლეტიკო |
| რეალი | : | მალიორკა |
| რასინგი | : | ალავესი |

**სატურნირო ვითარება**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სელტა | 5 | 4 | 0 | 1 | 9:5 | 12 |
| ხეტაფე | 5 | 3 | 2 | 0 | 9:5 | 11 |
| რეალი | 5 | 3 | 0 | 2 | 10:6 | 9 |
| ვალენსია | 5 | 2 | 3 | 0 | 9:7 | 9 |
| დეპორტივო | 5 | 2 | 3 | 0 | 6:4 | 9 |
| ოსასუნა | 5 | 3 | 0 | 2 | 6:5 | 9 |
| ბარსელონა | 5 | 2 | 2 | 1 | 9:5 | 8 |
| სარაგოსა | 5 | 1 | 4 | 0 | 6:4 | 7 |
| მალაგა | 5 | 2 | 1 | 2 | 7:6 | 7 |
| რასინგი | 5 | 2 | 1 | 2 | 2:2 | 7 |
| ესპანიოლი | 5 | 2 | 0 | 3 | 4:6 | 6 |
| სოსიედადი | 5 | 2 | 0 | 3 | 8:13 | 6 |
| ბილბაო | 5 | 1 | 2 | 2 | 6:6 | 5 |
| ვილიარეალი | 5 | 1 | 2 | 2 | 6:7 | 5 |
| სევილია | 5 | 1 | 2 | 2 | 3:4 | 5 |
| კადისი | 5 | 1 | 2 | 2 | 3:5 | 5 |
| ბეტისი | 5 | 1 | 2 | 2 | 3:6 | 5 |
| ატლეტიკო | 5 | 1 | 1 | 3 | 4:6 | 4 |
| მალიორკა | 5 | 1 | 1 | 3 | 7:10 | 4 |
| ალავესი | 5 | 0 | 2 | 3 | 4:9 | 2 |

# სარაგოსა ბარსას მოთოკვას ცდილობს

**კატალონიური** „ბარსელონა" ჩემპიონთა ლიგაში „უდინეზეს" აკლების მერე შინაურ პრიმერას დღეს მშვენიერი განწყობით დაუბრუნდება. რაიკაარდის ბიჭები შაბათს ვიქტორ მუნიოსის „სარაგოსას" დაუხვდებიან. „ბარსა" სატურნირო ცხრილში ამჟამად მეშვიდეა და არაგონელებთან ჯახისთვის ტრავმებიც არ აწუხებს, ასე რომ, კატალონიელები „ნოუ კამპზე" მოსაგებად იბრძოლებენ.

სავარაუდოდ „სარაგოსასთან" არგენტინელი მესის დებიუტიც შედგება — პატაგონიელ ფენომენს ორმაგი მოქალაქეობის მიღების შემდეგ ესპანურ პრიმერაშიც შეუძლია ბურთაობა. მუნიოსის შეგირდებმა წინა ტურში „დეპორთან" ფრე ითამაშეს და დღეს პრიმერას ცხრილში მე-8 ადგილზე არიან. „მთავარია, „ბარსას" მოთამაშეებს სათამაშო სივრცე არ მივცეთ. თუ ჭკვიანურად ვიმოქმედებთ, „კამპ ნოუზე" გამარჯვებასაც მოვახერხებთ" — აღნიშნა ვიქტორმა „მარკასთან" საუბარში.

„ხეტაფე" ძველ მწვრთნელს მასპინძლობს — კიკე ფლორესი ოდინდელ შეგირდებს „ვალენსიასთან" ერთად ჩააკითხავს „ალფონსო პერესის" სტადიონზე დაშვებული კლუვერტის ბურთაობა საეჭვოა სანქცირებულ ალბელდას კი ან ფაბიო აურელიო ანაც უგო ვიანა შეცვლის

მანუელ პელეგრინის „ვილიარეალს" „ბილბაოსთან" ომში ტრავმირებული კიკე ალვარესი დააკლდება, ბასკებიდან კი „მადრიგალზე" სავარაუდოდ ტიკო და გუტიარესი ვერ ითამაშებენ. ხვალ პრიმერას ლიდერი „სელტა" ჩემპიონატში მასავით ამ სეზონში გადმობარგებულ „კადისს" დაატყდება თავს. ფერნანდო ვასკესის „სელტას" ჯოვანელა დოპინგ-სანქციის გამო ორი წლით გამოაკლდა, თუმც ვიგოელები ეცდებიან, მთელი ყურადღება საკვირაო ჯახზე გადაიტანონ. „კადისი" გასულ ტურში „ოსასუნასთან" 2:0 დამარცხდა და ინჩასების გასახალისებლად ახლა შინაურ სტადიონზე შეეცდება მოგებას.

მადრიდის „რეალი" „მალიორკასთან" ჯახში ალბათ გამოჯანმრთელებულ ზიდანს დაიბრუნებს. ასევე ითამაშებს რონალდოც, რომელმაც დისკვალიფიკაციის გამო ამასწინდელ საჩემპიონთალიგო მატჩს ტრიბუნიდან ადევნა თვალყური. „სანტიაგო ბერნაბეუს" გალაქტიკოსები ბოლო ხანს უკეთ თამაშობენ (შინ „ბილბაოს" და „ალავესს" მოუგეს, ლიგაში კი ბერძნულ „ოლიმპიაკოსს") და ვინძლო პრიმერას ბოლოდან მეორე ადგილზე გაჭედილი „მალიორკას" დამარცხებაც არ გაუჭირდეთ.

ხოაკინ კაპაროსის „დეპორტივო" „ოსასუნას" ვიზიტს გადაჭედილი ლაზარეთით ხვდება. ლაკორუნიელთა ჰოსპიტალს (ვიქტორი, მოძო, კარილი, სენალი და პაბლო ამო) გუშინ მუხლდაშავებული დიეგო ტრისტანიც შეემატა. ხავიერ აგირეს „ოსასუნას" კი თავის გამოსაწყნად ახლა მხოლოდ ერთი სარბიელი დარჩა — 29 სექტემბერს უეფას თასზე „რენთან" განცდილი მარცხის მერე ნავარელები ძალებს მხოლოდ ესპანურ პრიმერაში მოსინჯავენ.

**წინა ტურის სიმბოლური ნაკრები** 4-3-3

**რონალდო** *რეალი*
**ეტოო** *ბარსელონა*
**დუდა** *მალაგა*
**ბოსიკო** *ვილიარეალი*
**ვან ბომელი** *ბარსელონა*
**ესიენი** *ჩელსი*
**ბილინგერი** *ხეტაფე*
**ვალკარსე** *მალაგა*
**კლამერო** *ოსასუნა*
**სალგადო** *რეალი*
**აუატე** *რასინგი*

**გუნდი: ბარსელონა**
**მწვრთნელი: ანტონიო ტაპია (მალაგა)**

# ინგლისი

ვაკა ხუციშვილი

| VIII ტური | | |
|---|---|---|
| **დღეს** | | |
| ბლექბერნი | : | ვესტ ბრომვიჩი |
| ჩარლტონი | : | ტოტენჰემი |
| ფულემი | : | მანჩესტერი |
| პორტსმუთი | : | ნიუკასლი |
| სანდერლენდი | : | ვესტ ჰემი |
| **ხვალ** | | |
| სიტი | : | ევერტონი |
| უიგანი | : | ბოლტონი |
| არსენალი | : | ბირმინგემი |
| ასტონ ვილა | : | მიდლსბრო |
| ლივერპული | : | ჩელსი |

**სადღეისო ვითარება**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩელსი | 7 | 7 | 0 | 0 | 14:1 | 21 |
| ჩარლტონი | 6 | 5 | 0 | 1 | 10:4 | 15 |
| ბოლტონი | 7 | 4 | 2 | 1 | 8:4 | 14 |
| ტოტენჰემი | 7 | 3 | 3 | 1 | 6:3 | 12 |
| ვესტ ჰემი | 6 | 3 | 2 | 1 | 10:4 | 11 |
| მანჩესტერი | 6 | 3 | 2 | 1 | 7:3 | 11 |
| სიტი | 7 | 3 | 2 | 2 | 7:6 | 11 |
| არსენალი | 6 | 3 | 1 | 2 | 9:4 | 10 |
| უიგანი | 6 | 3 | 1 | 2 | 5:4 | 10 |
| ნიუკასლი | 7 | 2 | 2 | 3 | 5:7 | 8 |
| მიდლსბრო | 7 | 2 | 2 | 3 | 6:9 | 8 |
| ბლექბერნი | 7 | 2 | 2 | 3 | 5:9 | 8 |
| ლივერპული | 5 | 1 | 4 | 0 | 3:2 | 7 |
| ბირმინგემი | 7 | 1 | 3 | 3 | 7:11 | 6 |
| ასტონ ვილა | 7 | 1 | 3 | 3 | 6:11 | 6 |
| პორტსმუთი | 7 | 1 | 2 | 4 | 5:9 | 5 |
| ფულემი | 7 | 1 | 2 | 4 | 5:10 | 5 |
| ვესტ ბრომვიჩი | 7 | 1 | 2 | 4 | 7:13 | 5 |
| სანდერლენდი | 7 | 1 | 1 | 5 | 5:10 | 4 |
| ევერტონი | 6 | 1 | 0 | 5 | 1:7 | 3 |

## იგივენი პრემიერლიგაში



„ლივერპული" და „ჩელსი" ერთმანეთს კიდევ ერთხელ შეებმებიან

**„ლივერპული" — „ჩელსი"** კვირაში ორჯერ. ეს კვირა ამ მხრივ განსაკუთრებული გამოდგა. ჩემპიონთა თასის მფლობელი და პრემიერლიგის ჩემპიონი ხუთდღიან მონაკვეთში ერთმანეთს მეორედ შეასკდებიან. „ჩვენ ევროპის ჩემპიონები ვართ!" გაჰკიოდნენ ლივერპულელი ფანები „ჩელსის" წინააღმდეგ ჩემპიონთა ლიგის მატჩისას და ალბათ იგივეს გაიმეორებენ ხვალაც.

მარცხენა მცველი ასიერ დელ ორნო ჯანზეა და ალბათ ითამაშებს. ჯონ ტერის და უილიამ გალასს ტრავმები აწუხებდათ, თუმც სალივერპულოდ ორივე მომჯობინდება. ჟოზე მაურინიუ 4-3-3-ს არ უღალატებს და სავარაუდოდ ასეთივე სქემით ათამაშებს გუნდს, ოღონდ ამ სქემაში ერნან კრესპოს ადგილი არ იქნება და ძირითად შემადგენლობაში დიდიე დროგბა მოვხდება.

რაფაელ ბენიტესი ჩემპიონთა ლიგაში „ჩელსისთან" ნათამაშები შემადგენლობის შეცვლას არ აპირებს. მიუხედავად იმისა, რომ ფერნანდო მორიენტესი, მოჰამედ სისოკო, ირჟი დუდეკი და ჰარი კიუელი გამოკეთდნენ. ბენიტესს სექტემბერში ვერმოგებულ მატჩებზე ჰკითხეს, რაზეც ესპანელმა უპასუხა: „შეცდომებზე არ ვფიქრობ, მხოლოდ ყოველი მომდევნო მატჩის მოგება მსურს. სექტემბრის შეცდომებზე რომ ვიფიქრო სისულელე იქნება. მე არც „ჩელსი" მაღელვებს. ვინც არ უნდა იყოს მეტოქე, მოსაგებად ვითამაშებთ".

ტიერი ანრი კვლავ ვერ დაეხმარება ლონდონის „არსენალს", რომელიც „ბირმინგემს" უმასპინძლებს.

„ესაა ტრავმებით გამოწვეული ყველაზე დიდი კრიზისი, რომელიც ჩემს სამწვრთნელო კარიერაში შემხვედრია — თქვა ბირმინგემელთა მწვრთნელმა სტივ ბრიუსმა — ასეთ შემთხვევაში რა უნდა იღონო?"

„არსენალს" დააკლდებიან ტრავმირებული დენის ბერხკამპი და ჟილბერტო სილვა.

„მანჩესტერ სიტის" ფორვარდი ენდი კოული გამოკეთდა და „ევერტონის" წინააღმდეგ სავარაუდოდ ითამაშებს. მცველი ჯოი ბარტონის გამოჩენა საეჭვოა, ბენ ტეტჩერი კი მოფერიანდა და ეგებ მანაც ითამაშოს. რობი ფაულერს ზურგი სტკივა და კვლავ დააკლდება გუნდს.

რაც შეეხება „ევერტონს", რომელიც უეფას თასის გათამაშებიდან გავარდა, შესაძლოა, ტონი ჰიბერტისა და მიქაელ არტეტას გარეშე დარჩეს.

ბირმინგემის „ასტონ ვილას" „მიდლსბროსთან" მატჩში ფორვარდი კევინ ფილიპსი, მარჯვენა მცველი არიან ჰიუზი და ნახევარმცველი ლი ჰენდრი დააკლდებიან.

„მიდლსბრო" კი იმედოვნებს, რომ უეფას თასზე „ქსანტისთან" გამოტოვებული მატჩის შემდეგ ჯანზე იქნება მარკ ვიდუკა და „ასტონ ვილასთან" ითამაშებს.

„ბოროელებს" რეი პარლოუ არ ეყოლებათ, ხოლო მეკარე მარკ შვარცერის და მცველი უგო ეჰიოგუს ამბავს ექიმები თამაშის დღეს გადაწყვეტენ.

„ბლექბერნის" ნახევარმცველი რობი სევიჯი ყვითელი ბარათების გამო „ვესტ ბრომვიჩთან" მატჩს გამოტოვებს. აარონ მოკოენა და კაპიტანი ენდი ტოდი კი გამოჯანსაღდნენ და „ვესტ ბრომვიჩთან" სათამაშოდ მზად არიან. ბრომვიჩელებს მეკარე ნვანკვო კანუ დააკლდებათ, ხოლო დანარჩენები ჯანს არ უჩივიან.

**წინა ტურის სიმბოლური ნაკრები** 3-5-2

- **რობერტსი** — *უიგანი*
- **პედერსენი** — *ბლექბერნი*
- **ლამპარდი** — *ჩელსი*
- **ნზოგბია** — *ნიუკასლი*
- **ნოლანი** — *ბოლტონი*
- **გრეი** — *ბლექბერნი*
- **ბარტონი** — *სიტი*
- **კონჩესკი** — *ვესტ ჰემი*
- **ანზო** — *ბეტისი*
- **ჩიმბონდა** — *უიგანი*
- **ფრიდელი** — *ბლექბერნი*

გუნდი: ბლექბერნი

მწვრთნელი: პოლ ჯიუელი (უიგანი)

# გერმანია

კოკი კანდელაკი

| VIII ტური | | |
|---|---|---|
| **დღეს** | | |
| ნიურნბერგი | : | კიოლნი |
| ჰანოვერი | : | დუისბურგი |
| აინტრახტი | : | შალკე |
| ბაიერნი | : | ვოლფსბურგი |
| გლადბახი | : | მაინცი |
| ლევერკუზენი | : | არმინია |
| ჰერტა | : | ვერდერი |
| **ხვალ** | | |
| ლაუტერნი | : | ჰამბურგი |
| დორტმუნდი | : | შტუტგარტი |

## მიუნხენის ბაიერნი ტრავმირებული და გაციებულია

| 15132 | ნიურნბერგი-კიოლნი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15133 | კაიზერსლაუტერნი-ჰამბურგი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15134 | დორტმუნდი-შტუტგარტი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15187 | ასკოლი-პარმა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15188 | კიევო-ტრევიზო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15189 | ფიორენტინა-ლივორნო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15190 | იუვენტუსი-ინტერი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15191 | ლეჩე-კალიარი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15192 | მესინა-სამპდორია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15193 | მილანი-რეჯინა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15194 | პალერმო-ემპოლი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15195 | რომა-სიენა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15196 | უდინეზე-ლაციო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15230 | ბარსელონა-სარაგოსა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15231 | კადისი-სელტა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15232 | ხეტაფე-ვალენსია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15233 | დეპორტივო-ოსასუნა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15234 | მალაგა-ატლეტიკო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15235 | რეალი-მალიორკა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15236 | რასინგი-ალავესი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15237 | სევილია-ესპანიოლი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15238 | სოსიედადი-ბეტისი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15239 | ვილიარეალი-ბილბაო | 3.00 | 2.80 | 2.00 |

## 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო

| | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11002 | სიტი-ევერტონი | 2.70 | 10.00 | 20.00 | 3.60 | 4.40 | 7.00 | 20.00 | 10.00 | 6.00 |
| 11003 | ფულემი-მანჩესტერი | 7.50 | 10.00 | 20.00 | 8.50 | 4.40 | 3.50 | 20.00 | 10.00 | 2.30 |
| 11004 | პორტსმუთი-ნიუკასლი | 3.70 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.80 | 20.00 | 10.00 | 4.00 |
| 11005 | ჩარლტონი-ტოტენჰემი | 3.60 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.80 | 20.00 | 10.00 | 4.00 |
| 11006 | ბლექბერნი-ვესტ ბრომვიჩი | 2.70 | 10.00 | 20.00 | 3.60 | 4.40 | 7.00 | 20.00 | 10.00 | 6.00 |
| 11007 | სანდერლენდი-ვესტ ჰემი | 3.60 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.80 | 20.00 | 10.00 | 4.00 |
| 11008 | უიგანი-ბოლტონი | 3.80 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.60 | 20.00 | 10.00 | 3.80 |
| 11009 | არსენალი-ბირმინგემი | 1.70 | 12.00 | 25.00 | 3.50 | 5.00 | 10.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11010 | ასტონ ვილა-მიდლსბრო | 3.10 | 10.00 | 20.00 | 4.20 | 4.40 | 5.50 | 20.00 | 10.00 | 5.00 |
| 11011 | ლივერპული-ჩელსი | 4.30 | 10.00 | 20.00 | 5.50 | 4.40 | 4.20 | 20.00 | 10.00 | 3.20 |
| 11126 | ბაიერნი-ვოლფსბურგი | 1.70 | 12.00 | 25.00 | 3.50 | 5.00 | 10.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11127 | აინტრახტი-შალკე | 5.20 | 10.00 | 20.00 | 6.00 | 4.40 | 4.00 | 20.00 | 10.00 | 3.00 |
| 11128 | ჰანოვერი-დუისბურგი | 2.70 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.40 | 7.00 | 20.00 | 10.00 | 6.00 |
| 11129 | ჰერტა-ვერდერი | 3.30 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.50 | 20.00 | 10.00 | 4.70 |
| 11130 | ლევერკუზენი-არმინია | 1.90 | 12.00 | 25.00 | 3.50 | 5.00 | 10.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11131 | მიონხენგლადბახი-მაინცი | 2.30 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.50 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 8.00 |
| 11132 | ნიურნბერგი-კიოლნი | 3.30 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.50 | 20.00 | 10.00 | 4.80 |
| 11133 | კაიზერსლაუტერნი-ჰამბურგი | 4.50 | 10.00 | 20.00 | 5.30 | 4.40 | 4.40 | 20.00 | 10.00 | 3.30 |
| 11134 | დორტმუნდი-შტუტგარტი | 3.40 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.00 | 20.00 | 10.00 | 4.50 |
| 11187 | ასკოლი-პარმა | 3.60 | 10.00 | 20.00 | 4.50 | 4.40 | 4.80 | 20.00 | 10.00 | 4.00 |
| 11188 | კიევო-ტრევიზო | 2.40 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.50 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 6.50 |
| 11189 | ფიორენტინა-ლივორნო | 2.40 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.50 | 7.00 | 20.00 | 10.00 | 6.00 |
| 11190 | იუვენტუსი-ინტერი | 3.00 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.30 |
| 11191 | ლეჩე-კალიარი | 3.30 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.50 | 20.00 | 10.00 | 4.80 |
| 11192 | მესინა-სამპდორია | 3.80 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.60 | 20.00 | 10.00 | 3.80 |
| 11193 | მილანი-რეჯინა | 1.50 | 12.00 | 30.00 | 3.50 | 5.00 | 10.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11194 | პალერმო-ემპოლი | 2.20 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.50 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 8.00 |
| 11195 | რომა-სიენა | 2.10 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.50 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 8.00 |
| 11196 | უდინეზე-ლაციო | 2.70 | 10.00 | 20.00 | 3.60 | 4.40 | 7.00 | 20.00 | 10.00 | 6.00 |
| 11230 | ბარსელონა-სარაგოსა | 1.70 | 12.00 | 25.00 | 3.50 | 5.00 | 10.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11231 | კადისი-სელტა | 3.80 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.60 | 20.00 | 10.00 | 3.80 |
| 11232 | ხეტაფე-ვალენსია | 3.80 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.60 | 20.00 | 10.00 | 3.80 |
| 11233 | დეპორტივო-ოსასუნა | 2.50 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 7.00 |
| 11234 | მალაგა-ატლეტიკო | 3.50 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.30 | 20.00 | 10.00 | 4.40 |
| 11235 | რეალი-მალიორკა | 1.50 | 15.00 | 30.00 | 3.40 | 4.80 | 12.00 | 20.00 | 11.00 | 11.00 |
| 11236 | რასინგი-ალავესი | 2.80 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.60 |
| 11237 | სევილია-ესპანიოლი | 2.80 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.60 |
| 11238 | სოსიედადი-ბეტისი | 3.60 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.80 | 20.00 | 10.00 | 4.00 |
| 11239 | ვილიარეალი-ბილბაო | 2.80 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.50 |

## რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე შედეგი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | |
|---|---|---|---|
| 14002 | სიტი-ევერტონი | 1.60 | 2.30 |
| 14003 | ფულემი-მანჩესტერი | 2.40 | 1.45 |
| 14004 | პორტსმუთი-ნიუკასლი | 1.90 | 1.90 |
| 14005 | ჩარლტონი-ტოტენჰემი | 1.85 | 1.95 |
| 14006 | ბლექბერნი-ვესტ ბრომვიჩი | 1.55 | 2.30 |
| 14007 | სანდერლენდი-ვესტ ჰემი | 1.85 | 1.95 |
| 14008 | უიგანი-ბოლტონი | 1.90 | 1.90 |
| 14009 | არსენალი-ბირმინგემი | 1.20 | 2.60 |
| 14010 | ასტონ ვილა-მიდლსბრო | 1.70 | 2.10 |
| 14011 | ლივერპული-ჩელსი | 2.00 | 1.80 |
| 14126 | ბაიერნი-ვოლფსბურგი | 1.07 | 2.90 |
| 14127 | აინტრახტი-შალკე | 2.20 | 1.65 |
| 14128 | ჰანოვერი-დუისბურგი | 1.55 | 2.30 |
| 14129 | ჰერტა-ვერდერი | 1.80 | 2.00 |
| 14130 | ლევერკუზენი-არმინია | 1.30 | 2.50 |
| 14131 | მიონხენგლადბახი-მაინცი | 1.40 | 2.40 |
| 14132 | ნიურნბერგი-კიოლნი | 1.80 | 2.00 |
| 14133 | კაიზერსლაუტერნი-ჰამბურგი | 2.00 | 1.80 |
| 14134 | დორტმუნდი-შტუტგარტი | 1.80 | 2.00 |
| 14187 | ასკოლი-პარმა | 1.85 | 1.95 |
| 14188 | კიევო-ტრევიზო | 1.30 | 2.50 |
| 14189 | ფიორენტინა-ლივორნო | 1.45 | 2.40 |
| 14190 | იუვენტუსი-ინტერი | 1.75 | 2.10 |
| 14191 | ლეჩე-კალიარი | 1.80 | 2.00 |
| 14192 | მესინა-სამპდორია | 1.90 | 1.90 |
| 14193 | მილანი-რეჯინა | 1.06 | 2.60 |
| 14194 | პალერმო-ემპოლი | 1.30 | 2.50 |
| 14195 | რომა-სიენა | 1.30 | 2.50 |
| 14196 | უდინეზე-ლაციო | 1.55 | 2.30 |
| 14230 | ბარსელონა-სარაგოსა | 1.20 | 2.60 |
| 14231 | კადისი-სელტა | 1.90 | 1.90 |
| 14232 | ხეტაფე-ვალენსია | 1.90 | 1.90 |
| 14233 | დეპორტივო-ოსასუნა | 1.45 | 2.40 |
| 14234 | მალაგა-ატლეტიკო | 1.80 | 1.90 |
| 14235 | რეალი-მალიორკა | 1.05 | 2.90 |
| 14236 | რასინგი-ალავესი | 1.65 | 2.20 |
| 14237 | სევილია-ესპანიოლი | 1.70 | 2.20 |
| 14238 | სოსიედადი-ბეტისი | 1.85 | 1.95 |
| 14239 | ვილიარეალი-ბილბაო | 1.65 | 2.20 |

## გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| 13002 | სიტი-ევერტონი | 1.70 | 1.90 |
| 13003 | ფულემი-მანჩესტერი | 1.70 | 1.90 |
| 13004 | პორტსმუთი-ნიუკასლი | 1.70 | 1.90 |
| 13005 | ჩარლტონი-ტოტენჰემი | 1.70 | 1.90 |
| 13006 | ბლექბერნი-ვესტ ბრომვიჩი | 1.70 | 1.90 |
| 13007 | სანდერლენდი-ვესტ ჰემი | 1.70 | 1.90 |
| 13008 | უიგანი-ბოლტონი | 1.70 | 1.90 |
| 13009 | არსენალი-ბირმინგემი | 1.90 | 1.70 |
| 13010 | ასტონ ვილა-მიდლსბრო | 1.70 | 1.90 |
| 13011 | ლივერპული-ჩელსი | 1.70 | 1.90 |
| 13126 | ბაიერნი-ვოლფსბურგი | 1.90 | 1.70 |
| 13127 | აინტრახტი-შალკე | 1.60 | 2.00 |
| 13128 | ჰანოვერი-დუისბურგი | 1.70 | 1.90 |
| 13129 | ჰერტა-ვერდერი | 1.70 | 1.90 |
| 13130 | ლევერკუზენი-არმინია | 1.70 | 1.90 |
| 13131 | მიონხენგლადბახი-მაინცი | 1.70 | 1.90 |
| 13132 | ნიურნბერგი-კიოლნი | 1.70 | 1.90 |
| 13133 | კაიზერსლაუტერნი-ჰამბურგი | 1.60 | 2.00 |
| 13134 | დორტმუნდი-შტუტგარტი | 1.60 | 2.00 |
| 13187 | ასკოლი-პარმა | 1.70 | 1.90 |
| 13188 | კიევო-ტრევიზო | 1.70 | 1.90 |
| 13189 | ფიორენტინა-ლივორნო | 1.70 | 1.90 |
| 13190 | იუვენტუსი-ინტერი | 1.70 | 1.90 |
| 13191 | ლეჩე-კალიარი | 1.70 | 1.90 |
| 13192 | მესინა-სამპდორია | 1.70 | 1.90 |
| 13193 | მილანი-რეჯინა | 1.90 | 1.70 |
| 13194 | პალერმო-ემპოლი | 1.70 | 1.90 |
| 13195 | რომა-სიენა | 1.70 | 1.90 |
| 13196 | უდინეზე-ლაციო | 1.70 | 1.90 |
| 13230 | ბარსელონა-სარაგოსა | 1.90 | 1.70 |
| 13231 | კადისი-სელტა | 1.70 | 1.90 |
| 13232 | ხეტაფე-ვალენსია | 1.70 | 1.90 |
| 13233 | დეპორტივო-ოსასუნა | 1.70 | 1.90 |
| 13234 | მალაგა-ატლეტიკო | 1.70 | 1.90 |
| 13235 | რეალი-მალიორკა | 1.70 | 1.90 |
| 13236 | რასინგი-ალავესი | 1.70 | 1.90 |
| 13237 | სევილია-ესპანიოლი | 1.70 | 1.90 |
| 13238 | სოსიედადი-ბეტისი | 1.70 | 1.90 |
| 13239 | ვილიარეალი-ბილბაო | 1.70 | 1.90 |

## რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| 12002 | სიტი-ევერტონი | 1.70 | 1.90 |
| 12003 | ფულემი-მანჩესტერი | 1.70 | 1.90 |
| 12004 | პორტსმუთი-ნიუკასლი | 1.70 | 1.90 |
| 12005 | ჩარლტონი-ტოტენჰემი | 1.70 | 1.90 |
| 12006 | ბლექბერნი-ვესტ ბრომვიჩი | 1.70 | 1.90 |
| 12007 | სანდერლენდი-ვესტ ჰემი | 1.70 | 1.90 |
| 12008 | უიგანი-ბოლტონი | 1.70 | 1.90 |
| 12009 | არსენალი-ბირმინგემი | 1.90 | 1.70 |
| 12010 | ასტონ ვილა-მიდლსბრო | 1.70 | 1.90 |
| 12011 | ლივერპული-ჩელსი | 1.55 | 2.00 |
| 12126 | ბაიერნი-ვოლფსბურგი | 2.10 | 1.55 |
| 12127 | აინტრახტი-შალკე | 1.90 | 1.70 |
| 12128 | ჰანოვერი-დუისბურგი | 1.90 | 1.70 |
| 12129 | ჰერტა-ვერდერი | 1.90 | 1.70 |
| 12130 | ლევერკუზენი-არმინია | 2.10 | 1.55 |
| 12131 | მიონხენგლადბახი-მაინცი | 1.90 | 1.70 |
| 12132 | ნიურნბერგი-კიოლნი | 1.90 | 1.70 |
| 12133 | კაიზერსლაუტერნი-ჰამბურგი | 2.00 | 1.60 |
| 12134 | დორტმუნდი-შტუტგარტი | 1.90 | 1.70 |
| 12187 | ასკოლი-პარმა | 1.60 | 2.00 |
| 12188 | კიევო-ტრევიზო | 1.60 | 2.00 |
| 12189 | ფიორენტინა-ლივორნო | 1.70 | 1.90 |
| 12190 | იუვენტუსი-ინტერი | 1.70 | 1.90 |
| 12191 | ლეჩე-კალიარი | 1.70 | 1.90 |
| 12192 | მესინა-სამპდორია | 1.70 | 1.90 |
| 12193 | მილანი-რეჯინა | 1.90 | 1.70 |
| 12194 | პალერმო-ემპოლი | 1.70 | 1.90 |
| 12195 | რომა-სიენა | 1.90 | 1.70 |
| 12196 | უდინეზე-ლაციო | 1.70 | 1.90 |
| 12230 | ბარსელონა-სარაგოსა | 1.90 | 1.70 |
| 12231 | კადისი-სელტა | 1.70 | 1.90 |
| 12232 | ხეტაფე-ვალენსია | 1.70 | 1.90 |
| 12233 | დეპორტივო-ოსასუნა | 1.70 | 1.90 |
| 12234 | მალაგა-ატლეტიკო | 1.70 | 1.90 |
| 12235 | რეალი-მალიორკა | 2.00 | 1.55 |
| 12236 | რასინგი-ალავესი | 1.60 | 2.00 |
| 12237 | სევილია-ესპანიოლი | 1.70 | 1.90 |
| 12238 | სოსიედადი-ბეტისი | 1.70 | 1.90 |
| 12239 | ვილიარეალი-ბილბაო | 1.70 | 1.90 |

გუშინწინ უნგრეთში გასრულებული მსოფლიოს ჩემპიონატი ქართველი თავისუფალი სტილით მოჭიდავეთათვის ყველაზე ხვავიანი გამოდგა. ზაზა თურმანიძის გუნდმა ყველა სინჯის თითო მედალი მოიპოვა. ეს შედეგი სარეკორდოა ქართველი მოჭიდავეებისთვის — მსოფლიოს პირველობაზე აქამდე ჩვენებს ასეთი შედეგი არ უჩვენებიათ



# თავისუფლების ისტორიული

## მოჭიდავეებმა არნახული ნახეს

**მაშ** ასე, 66კგ. წონით კატეგორიაში ოთარ თუშიშვილმა ბრინჯაო ირგუნა, 84-ში რეზო მინდორაშვილი ჩემპიონი გახდა, ხოლო მსოფლიოს ორგზის პირველთან ლუკა კურტანიძეს ვერცხლი შეხვდა.

მთლიანობაში საქართველოს ნაკრები გუნდურ მესამე ადგილზე გავიდა და წინ რუსეთისა და კუბის გუნდები გაუშვა. მიღწეულის შესაფასებლად გუშინ უნგრეთში ჩვენი ნაკრების მთავარ მწვრთნელ ზაზა თურმანიძეს შევეხმიანეთ...

— ქართველებს ტრადიცია გვაქვს ასეთი, ნებისმიერი ტურნირისგან მაქსიმუმს ველით და უნგრეთშიც შესაბამისი ამბიციით ჩამოვედით. საბოლოოდ ისე გამოვიდა, რომ თითო ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედალი მოვიგეთ, რაც აქამდე, გინდაც დამოუკიდებლობისა და გინდაც საბჭოეთის ხანაში, არ მომხდარა. ჩვენ მივაღწიეთ ყველაზე მაღალ შედეგს ქართული ჭიდაობის ისტორიაში, მაგრამ...

— **მერედა, არ ხართ კმაყოფილი?**

— უკმაყოფილების საფუძველი ნამდვილად არ მაქვს, მაგრამ თუ რეალურად განვსჯით, მეტის მიღწევაც შეგვეძლო. ზოგადად ნაკრების მიერ მიღწეული შედეგით კმაყოფილები ვართ, მაგრამ კონკრეტულ წონებში განცდილ მარცხთან დაკავშირებით ჩემი კრიტიკული აზრი გამაჩნია. იყო წონები, რომლებშიც მეტის მიღწევა შეგვეძლო, მაგრამ არ გამოვიდა.

— **კონკრეტულად ვისზე გეთანაღრებათ გული? ალბათ ლუკა კურტანიძეზე...**

— რა თქმა უნდა, პირველ რიგში ის იყო გულსატკენი, ლუკამ ოქრო რომ ვერ მოიგო. მე მის შესაძლებლობებში ეჭვი არ მეპარება, კურტანიძეს თავისი კლასი დამტკიცებული აქვს. უბრალოდ, ეს მისთვის იქნებოდა ძალიან კარგი. ორგზის მსოფლიოს ჩემპიონია და თუ გაასამებდა, ამას რა აჯობებდა, მაგრამ ფინალში არ გაუმართლა.

— **ფინალში დამარცხების მიზეზად რას დაასახელებდით?**

— კურტანიძემ ემოციურად დაიწყო ჭიდაობა, კონცენტრაცია მოუდუნდა, უნდოდა, მალევე აელო ქულა და ვერ გამოუვიდა. მოხდა პირიქით, მეტოქემ მოიპოვა ქულა და მერე ლუკაც ანერვიულდა. რუსმა მოპოვებული უპირატესობა ბოლომდე იოლად შეინარჩუნა. გარდა ამისა, ლევან ჩაბრაძის ფინალში გასვლასაც ველოდით, რომელიც ალბათ აუცილებლად მოახერხებდა ამას, დებიუტანტი რომ არ ყოფილიყო. გამოუცდელობის ბრალია, უმედლოდ რომ დარჩა, მესამე ადგილისთვის ბრძოლა დასანანად წააგო. მიუხედავად ამისა, ლევანი დამაჯერებლად გამოვიდა მისთვის სადებიუტო მსოფლიოს ჩემპიონატზე და მომავალში აუცილებლად უნდა მოუმატოს. იგივეს ვიტყვი ოთარ თუშიშვილზე, რომელიც ცალი ფეხით ფინალში იყო, მაგრამ...

— **მიუხედავად მედალთა სიმრავლისა, გუნდურ პირველობაში ჩემპიონობა ვერ შევინარჩუნეთ...**

— ამ ჩემპიონატზე 90 ქვეყანა მონაწილეობს და მგონი, საქართველო ყველაზე პატარაა. გუნდური მესამეობა ჩვენთვის მაღალი შედეგია, თუმც მაინც გული გვტკივა, რადგან წინა ჩემპიონატზე სულაც პირველები გავხდით. წინაზე ორი მედალი გვქონდა, მაგრამ უმედლოდ დარჩენილმა მოჭიდავეებმა მოგვიტანეს ქულები, ახლა კი რამდენიმე სპორტსმენი 10-ქულიან ზღვარში ვერ მოხვდა და მესამეობას დავჯერდით.

**ირაკლი პერტაია**

# სტარტზე კუბელმა კვანტი გამოგვდო

**თავისუფალი** სტილით მოჭიდავეთა შემდეგ უნგრული სამსოფლიოსჩემპიონატო ხალიჩები ბერძნულ-რომაული სტილის ფალავნებმა დაიკავეს. დღეიდან უკვე გია დარჩიას ბიჭები შეეცდებიან მედლების მოპოვებას, თავისუფლებმა კი, ერთხელაც შეგახსენებთ, თითო ოქრო, ვერცხლი და ბრინჯაო მოიგეს.

29 სექტემბრიდან 2 ოქტომბრამდე 7 ქართველი გავა ხალიჩაზე. მონაწილეებს წონითი კატეგორიების მიხედვით ერთხელაც შეგახსენებთ: ირაკლი ჭოჭუა (55), მუხრან მაჭუტაძე (66), მანუჩარ კვირკველია (74), ბადრი ხასაია (84), დავით ბედინაძე (60), მუხრან ვახტანგაძე (96) და მირიან გიორგაძე (120).

გუშინ ბრძოლაში მხოლოდ ირაკლი ჭოჭუა ჩაერთო, რომელმაც სადებიუტო ორთაბრძოლა გვატემალელ ხულიო მალდონადოს მოუგო. ირაკლიმ მომდევნო მეტოქესაც იოლად ამოსდო ლაგამი — ინდოელი კუმარ სინჰ აჯაი ქულებით დაამარცხა, აი, მესამე წრეში კი ფეხი დაუცდა ჩვენიანს და კუბელ რივას ლაზაროსთან დათმო მეოთხედფინალში გამსვლელი ბრძოლა.

სამწუხაროდ მერე კუბელსაც ხელი მოეცარა და ჭოჭუამ ტრიბუნებზე გადაინაცვლა.



# ლოკომოტივი შემადგენლობის თავშია

**ლოკომოტივი 37:15 ლელო**

**ლოკომოტივი:** 5 ლ — ზ. კობერიძე, ლ. გუგავა, მ. კორკოტაძე, ზ. მაისურაძე, ბ. სამხარაძე
3 გ — ბ. კვინიხიძე
1 ა — ბ. კვინიხიძე
1 ჯ — ბ. კვინიხიძე
*ყვითელი ბარათი* — კორკოტაძე
**ლელო:** — 2 ლ — მ. კვირიკაშვილი, ტექნიკური
1 გ — მ. კვირიკაშვილი
1 ჯ — ი. ყიასაშვილი
**ლოკომოტივი:** (15-9) ასათიანი, გუგავა, უდესიანი, გიგაური, კობერიძე, სამხარაძე, (1-8) გასვიანი, კარაბაკი, მელიქიძე, ნიშნიანიძე, კორკოტაძე, მხეიძე, სუთიაშვილი, მაისურაძე
*მწვრთნელი:* თ. ბენდიაშვილი
*შეცვლაზე შევიდნენ:* მალალთაძე, ჩიხლაძე, ანდღულაძე, ავსაჯანიშვილი
*ლელო:* (15-9) თოდუა, შალიკაშვილი, მჭედლიშვილი, ფირფილაშვილი, ჯამრულიძე, ყიასაშვილი, კვირიკაშვილი, (1-8) ტვილდიანი, ცხოვრებაშვილი, ქუბრიაშვილი, ხაბეიშვილი, დაუშვილი, რამაზაშვილი, დაუშვილი, ბელქანია
*შეცვლაზე შევიდნენ:* ცერცვაძე, ჩიტიძე, ცხაკაია, ცაცუროვი
*მწვრთნელი:* ლ. მაისაშვილი

**აკადემია 20:20 ყოჩები**

**აკადემია:** 4 ლ — მურვანიძე, გელანტია, კობახიძე, სულამანიძე
*ყვითელი ბარათი* — მჭედლიძე
ყოჩები: 2 ლ — ელოშვილი, კაჭარავა
2 გ — გრუდკო, ავლოხაშვილი
1 ჯ — გრუდკო
1 ა — ავლოხაშვილი
*წითელი ბარათი* — მალაღურაძე
**აკადემია:** (15-9) ელიზბარაშვილი, ღამბაშიძე, სულამანიძე, ქოპილაშვილი, პინჩუკოვი, ხუხუნაიშვილი, (1-8) ბანძელაძე, ნატროშვილი, გელანტია, ქარუხნიშვილი, გელაძე, მურვანიძე, ნებულიშვილი, მჭედლიძე
*შეცვლაზე შევიდნენ:* კობახიძე, ბატოიანი, ბეგაძე
*მწვრთნელი:* პანარიმანაშვილი
**ყოჩები:** (15-9) ოდიშარია, ნიჟარაძე, თოთაძე, მაისურაძე, დადეშიანი, ავლოხაშვილი, ხელაძე, (1-8) ასეიშვილი, ხუციშვილი, ანჯაფარიძე, არჩუაშვილი, ცხადაძე, ლუდუშაური, ტუჩაშვილი, მალაღურაძე
*შეცვლაზე შევიდნენ:* კიკნაველიძე, კაჭარავა, ელოშვილი, გეგენავა, გრუდკო, ლობჟანიძე
*მწვრთნელი:* ნ. ჭავჭავაძე

**მეოთხე** ტურის მატჩებმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ „ლოკომოტივს“ ძნელად თუ ვინმე შეაჩერებს. ერთადერთი, ვისაც ამის გაკეთება ხელეწიფებოდა, გუშინ ვარკეთილის მეურნეობის სტადიონზე მის წინ იდგა — ლელოელები თავიდანვე მიაწყდნენ მეტოქის მოედანს, მაგრამ „ლოკომოტივი“ ჩვეული ხისტობით დაუხვდა და ბოლოს მაინც გაიმარჯვა.

ამგვარად, „ლოკომოტივი“ [illegible] გებლად გაასრულა [illegible]

„აკადემიკოსებისა“ და „ყოჩების“ შეხვედრა ორმხრივი შეცდომებით დახუნძლული გამოდგა. ორივე გუნდს აშკარად ეტყობოდა წამყვანი მოთამაშეების დეფიციტი — [illegible] ჯერჯერობით ასეა, [illegible] ბა თუ არა მორიგებულ [illegible] სავრანჯეთისკენ უწორავს [illegible] ოდა, შარშანდელი [illegible] შარშანდელივე [illegible] თავიანთ არიდელებსაც [illegible]

თუმცა, გამარჯვების [illegible] ორივე გუნდს თანაბარი [illegible] ვეს ქულების აქტივი [illegible] მდე ნულის ტოლი იყო, [illegible] თანაბარი გამოუვიდათ და [illegible] ლმაც პური ჭამა — [illegible] ქულა აკადემიკოსებსაც და „ყოჩებსაც“.

თუმცა, სამართალი [illegible] და, პირველი ტური მათთვისაც მალე გაილევა, შორს კი ის დროც არ არის, როცა [illegible] ხუთეულდა ჩემპიონატის [illegible] ოთხი გუნდი გაიმარჯვებს. [illegible] მეხუთეს პირველ ლიგაში [illegible] თების პერსპექტივა ელის.



## მსოფლიოს ჩემპიონატი
## 27 სექტემბერი — 16 ოქტომბერი, სან-ლუისი, არგენტინა

**I ტური**

| | | |
|---|---|---|
| პეტერ ლეკო (უნგრეთი) | 0,5:0,5 | ალექსანდრ მოროზევიჩი (რუსეთი) |
| რუსტამ კასიმჯანოვი (უზბეკეთი) | 0,5:0,5 | პეტერ სვიდლერი (რუსეთი) |
| მაიკლ ადამსი (ინგლისი) | 0,5:0,5 | იუდიტ პოლგარი (უნგრეთი) |
| ვესელინ ტოპალოვი (ბულგარეთი) | 0,5:0,5 | ვიშვანათან ანანდი (ინდოეთი) |

| | | |
|---|---|---|
| 1 | ვესელინ ტოპალოვი (ბულგარეთი) | 1,5 ქულა |
| 2 | ვიშვანათან ანანდი (ინდოეთი) | 1,5 |
| 3 | პეტერ სვიდლერი (რუსეთი) | 1,0 |
| 4 | რუსტამ კასიმჯანოვი (უზბეკეთი) | 1,0 |
| 5 | მაიკლ ადამსი (ინგლისი) | 1,0 |
| 6 | ალექსანდრ მოროზევიჩი (რუსეთი) | 1,0 |
| 7 | პეტერ ლეკო (უნგრეთი) | 0,5 |
| 8 | იუდიტ პოლგარი (უნგრეთი) | 0,5 |

# ტიტანთა ბრძოლა მშვიდობით დასრულდა



ვესელინ ტოპალოვმა ვიშვანათან ანანდს ხელი ჩამოართვა

**პლანეტის** მე-13 ჩემპიონის, რუსი გარი კასპაროვის აზრით, მსოფლიოს ახალი ჩემპიონი ინდოელი ვიშვანათან ანანდი, ბულგარელი ვესელინ ტოპალოვი ან უნგრელი პეტერ ლეკო გახდება.

„ამ გამაერთიანებელი ტურნირის მომგები მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონი გვირგვინს დაიდგამს. კარგა ხანია, რაც ჭადრაკი ახლებულ სისტემაზე გადავიდა და კლასიკური უკვე მოძველდა. არგენტინაში ვინც უკეთ იქნება მომზადებული, ის გაიმარჯვებს“ — განაცხადა კასპაროვმა.

შეგახსენებთ, რომ პლანეტის საუკეთესო მოჭადრაკე კასპაროვმა კარიერა თებერვალში დაასრულა და ახლა ბედს პოლიტიკაში cდის.

მეორე ტურის ცენტრალური შეხვედრა ჩემპიონატის ფავორიტების, ვიშვანათან ანანდისა და ვესელინ ტოპალოვის დაპირისპირება გამოდგა. დიდოსტატებმა უბრძოლველად დაფის ერთი უჯრედიც არ დათმეს და თითქმის ასი სვლა ითამაშეს. მათი შეხვედრა ტურნირში [illegible] ხანგრძლივი, 7-საათიანი იყო.

ტოპალოვმა ლაზიერის [illegible] დაიწყო პარტია, ანანდმა კი მხედარი F6 უჯრაზე დასვა. მე-11 სვლაზე მეტოქეებმა როქი ითამაშეს და იერიშებს შეუდგნენ. ორივე [illegible] დღება ლაზიერის ფლანგზე გადაიტანა, რამდენიმე პაიკი [illegible] და მძიმე ძალები გამოიყვანეს თამაში ორმხრივ იერიშებში გადაიზარდა, შეტაკებებში ანანდმა იჯობა, მეტოქეს ეტლები მოუკლა და 24-ე სვლაზე ხარისხით დაწინაურდა.

ტოპალოვმა მალევე აღადგინა წონასწორობა, მეტიც, ხარისხი ახლა თვითონ მოიპოვა და მარჯვენა ფლანგიდან პაიკების გაყვანას შეუდგა.

ანანდმა მეტოქის შესაკავებლად ლაზიერი გაუშვა წინ, თეთრ მეფეს მოსვენება არ მისცა და 97-ე სვლაზე ყაიმზე დაიყოლა.

ყაიმით დასრულდა დარჩენილი სამივე პარტია და ცხრილში ადგილები უცვლელი დარჩა.

ტოტალიზატორთა აზრით, ჩემპიონატს ანანდი მოიგებს და მისი კოეფიციენტია 2,8. მეორეზე ტოპალოვია 4,2 ფსონით.

**ლაშა გეგეჭკორი**



ტიტანთა ბრძოლა 97-ე სვლაზე დასრულდა

# ბათუმის ქალთა ღია პირველობა
## საპრიზო 50 000 $

| | 1/16 ფინალი | 1/8 ფინალი | 1/4 ფინალი | 1/2 ფინალი | |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | ანასტასია იაკიმოვა (1, ბელარუსი) | იაკიმოვა 6:3 6:2 | იაკიმოვა 63 76 (72) | იაკიმოვა 63 46 6:4 | ფ |
| 2 | ანგელიკა როეში (გერმანია) | | | | |
| 3 | კაროლინა კოსინსკა (პოლონეთი) | კოსინსკა 6:1 6:4 | | | |
| 4 | მარინა შამაიკო (რუსეთი) | | | | |
| 5 | ვოისლავა ლუკიჩი (სერბეთი) | ბასტრიკოვა 6:0 6:1 | ზაპლავოვა 3:6 6:3 6:4 | | |
| 6 | ანა ბასტრიკოვა (რუსეთი) | | | | |
| 7 | ელენა კულიკოვა (რუსეთი) | ზაპლავოვა 7:5 6:4 | | | |
| 8 | სანდრა ზაპლავოვა (5, ჩეხეთი) | | | | |
| 9 | მატეა მეზაკი (3, ხორვატია) | კაპშეი 6:2 7:6 (6) | პანოვა 6:4 7:5 | ბარდინა 6:2 6:2 | |
| 10 | ვერონიკა კაპშეი (უკრაინა) | | | | |
| 11 | ნადეჟდა ოსტროვსკაია (ბელარუსი) | პანოვა 6:2 7:6 (3) | | | |
| 12 | ოლგა პანოვა (რუსეთი) | | | | |
| 13 | ირინა კუზმინა (ლატვია) | კუზმინა 7:5 6:3 | ბარდინა 6:1 6:2 | | |
| 14 | ნინა ბრატჩიკოვა (რუსეთი) | | | | |
| 15 | აურელია ველი (საფრანგეთი) | ბარდინა 6:2 6:1 | | | |
| 16 | ვასილისა ბარდინა (7, რუსეთი) | | | | |
| 17 | ალა კუდრიავცევა (8, რუსეთი) | კუდრიავცევა 6:2 6:2 | კუდრიავცევა 6:3 6:1 | ლიუბცოვა 64 46 7:5 | |
| 18 | ტატიანა პრიახინი (გერმანია) | | | | |
| 19 | ევგენია როდინა (რუსეთი) | როდინა 7:5 7:5 | | | |
| 20 | მარია გეცნეგე (ბულგარეთი) | | | | |
| 21 | ირინა კოტკინა (რუსეთი) | კოტკინა 6:4 6:3 | ლიუბცოვა 6:1 6:2 | | |
| 22 | ეკატერინა კოზოხინა (რუსეთი) | | | | |
| 23 | ოქსანა ლიუბცოვა (უკრაინა) | ლიუბცოვა 6:1 6:1 | | | |
| 24 | ტატიანა უვაროვა (4, ბულგარეთი) | | | | |
| 25 | ეკატერინა დეჰალევიჩი (6, ბულგარეთი) | დეჰალევიჩი 6:2 4:6 6:4 | ტიმოტიჩი 6:4 6:0 | ტიმოტიჩი 6:3 6:1 | |
| 26 | ოქსანა ტეპლიაკოვა (უკრაინა) | | | | |
| 27 | ანა ტიმოტიჩი (სერბეთი) | ტიმოტიჩი 7:5 6:1 | | | |
| 28 | მარგალიტა ჩახნაშვილი (საქართველო) | | | | |
| 29 | მანანა შაფაქიძე (საქართველო) | შაფაქიძე 5:7 6:3 6:1 | პეტერსონი 6:3 7:5 | | |
| 30 | ანა ტატიშვილი (საქართველო) | | | | |
| 31 | კარენ პეტერსონი (დიდი ბრიტანეთი) | პეტერსონი 3:6 6:4 7:6 (3) | | | |
| 32 | ლიუდმილა სკავრონსკაია (2, რუსეთი) | | | | |

# თუ წვიმამ გადაიღო...
## დღეს ოთხი გაორდება

**გუშინ** ბათუმის ბულვარში შემოდგომისთვის უჩვეულო ხალხმრავლობა იყო. კორტებზე და მის მიმდებარე ტერიტორიაზე ქართულ საცეკვაო ფორმებში გამოწყობილი ბავშვები და მათი მშობლები ტრიალებდნენ. რამდენიმე პარლამენტარსაც შევავლეთ თვალი და ბულვარის ნაპირზე გირლიანდებით აჭრელებულ ავტომობილსაც. მიზეზი აჭარაში მიხეილ სააკაშვილის ვიზიტი იყო...

ტურნირს კი ოთხი ქალიღა შერჩა. ბელარუსი ანასტასია იაკიმოვა, რუსი ვასილისა ბარდინა, უკრაინელი ოქსანა ლიუბცოვა და სერბი ანა ტიმოტიჩი. ყველაზე მოულოდნელი ნახევარფინალში ლიუბცოვას გასვლა იყო. მან მერვე ნომრად განთესილი რუსი ანა კუდრიავცევა იმსხვერპლა, თუმც ოქსანამ მაყურებელს სიურპრიზი ჯერ კიდევ პირველ წრეში შესთავაზა, როცა მეოთხე ნომერ უვაროვას აჯობა.

ჩვეულად იქნია ჩოგანი პირველ ნომრად განთესილმა იაკიმოვამ, თუმც წინა დღის მსგავსად, გუშინაც ბლომად ოფლის ღვრა დასჭირდა, რადგან „ქართუს თასის" ამწევი ჩეხი სანდრა ზაპლავოვა სამი სეტი გაუძალიანდა.

ტიმოტიჩმა შაფაქიძის მძლეველ ზორბა ბრიტანელ კარენ პატერსონს დაახრევინა ჩოგანი, ხოლო ბარდინამ — კვალიფიკაციაგავლილ პანოვას. თან ორივე მოგებულმა მხოლოდ ოთხ-ოთხი გეიმი დაუთმო მეტოქეს.

მეოთხედფინალების დამთავრების შემდეგ ისეთმა წვიმამ დასცხო, ძნელი სათქმელია, ჩოგბურთელები დღეს კორტზე გასვლას შეძლებენ თუ ვერა. წესით, ნახევარფინალები ნაშუადღევს უნდა დაიწყოს.

# ინკოგნიტო დოპინგოსანი

**ფრანგული** გაზეთ „ეკიპის" თანახმად, წლევანდელი საფრანგეთის ღია პირველობის მონაწილე ერთ-ერთი ჩოგბურთელის სისხლში დოპინგის კვალი აღმოაჩინეს. ჯერჯერობით არ ხმაურდება ამ ჩოგბურთელის ვინაობა. მისი სახელი ცნობილი გახდება მხოლოდ მას შემდეგ, რაც დამოუკიდებელი სამკაციანი საბჭო ამ საკითხს გამოიძიებს.

სარბიელელები მწუხარებით ვიუწყებით, რომ გარდაიცვალა ჩვენი კოლეგა, გაზეთ „ლელოს" ღვაწლმოსილი თანამშრომელი

ვანდი ხანდამიშვილი

და თანავუგრძნობთ განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაცია იუწყება, რომ გარდაიცვალა გაზეთ „ლელოს" პასუხისმგებელი მდივანი

ვანდი ხანდამიშვილი

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს



ენდრიუ მიურეი

# ფედერერის კრეისერული სიჩქარე
## თინეიჯერის გამომცხვარი სენსაცია

ბანგკოკი. ტაილანდი
მაგარსაფარი
საპრიზო 550 000 $

### 1/4 ფინალი

**როჯერ ფედერერი** (შვეიცარია, 1) — ჟილ მიულერი (ლუქსემბურგი) — 6:4, 6:3
**ენდრიუ მიურეი** (ბრიტანეთი) — რობი ჯინეპრი (აშშ, 3) — 4:6, 6:4, 6:3
**იარკო ნიემინენი** (ფინეთი, 6) — იუ-ცზუ ვანგი (ტაივანი) — 6:4, 6:7, 6:4
**პარადონ შრიჩაპანი** (ტაილანდი, 7) — ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრალია, 2) — (ჰიუიტის უარი)

**ტაილანდის** დედაქალაქ ბანგკოკში მიმდინარე ATP რანგის მორიგი ტურნირი ნელ-ნელა გადამწყვეტ ფაზაში შედის. გუშინ ტურნირის ნახევარფინალისტთა ვინაობა გაირკვა.

სენსაციური შედეგი დაფიქსირდა ტურნირზე მესამე ნომრად განთესილ ამერიკელ რობი ჯინეპრისა და თინეიჯერ ბრიტანელ ენდრიუ მიურეის შეხვედრაში. მძიმე, სამსეტიანი დაპირისპირება ბრიტანელის სასარგებლოდ დასრულდა. არადა, ნაკლებად თუ მოელოდა ვინმე ასეთ შედეგს, ვინაიდან ჯინეპრი წლეულს საკმაოდ კარგ ფორმაშია. მან რამდენიმე ტურნირზე მშვენივრად იასპარეზა და US OPEN-ის ნახევარფინალშიც კი გავიდა, სადაც უბერებელ ანდრე აგასისთან წააგო. ყველაფრის მიუხედავად, მიურეიმ მაინც მოახერხა თავისზე უფრო ტიტულიანი და გამოცდილი ამერიკელის დამარცხება და ნახევარფინალშიც გავიდა. ეს პირველი ნახევარფინალი იქნება ATP-ის ტურნირზე ახალგაზრდა ბრიტანელისთვის.

მიურეის მოწინაალმდეგე ნახევარფინალში ტაილანდელი პარადონ შრიჩაპანი იქნება, რომელსაც ამ ეტაპზე გასასვლელად ჩოგნის ხელში აღებაც კი არ დასჭირვებია. საქმე იმაშია, რომ მეოთხედფინალში ტაილანდელის მოწინაალმდეგემ, ტურნირის მეორე ნომერმა ავსტრალიელმა ლეიტონ ჰიუიტმა ტრავმის გამო თამაშზე უარი განაცხადა.

ჰიუიტისგან განსხვავებით, ასპარეზობას განაგრძობს ტურნირის მთავარი ფავორიტი როჯერ ფედერერი. შეიძლება ითქვას, რომ ის კრეისერული სისწრაფით მიდის მორიგი ტიტულისკენ. ამჯერად მისი მეტოქე ლუქსემბურგელი ჟილ მიულერი იყო, რომელსაც ფედერერმა ყოველგვარი ნერვიულობის გარეშე ორ სეტში მოუგო.

საერთოდ, მიულერს ფავორიტებისთვის მეტად უხერხული მეტოქის სახელი აქვს დაგდებული. ბოლო წლებში მან რამდენჯერმე გაამწარა ამა თუ იმ ტურნირზე ფავორიტებად შერაცხული მოთამაშეები, მაგალითად, წლევანდელი US OPEN-იც კმარა, როცა მიულერმა პირველ წრეში ენდი როდიკი გამოთიშა ასპარეზობას. თუმც, როგორც გამოჩნდა, არც ამან იქონია ფედერერზე ზეგავლენა.

ნახევარფინალში ფედერერს დაუპირისპირდება ფინელი იარკო ნიემინენი, რომელმაც მძიმე, სამ სეტიან მატჩში მოუგო წინა წრეში ტომი ჰაასის მძლეველ ტაივანელ ვანგს.

WTA
ლუქსემბურგი
მაგარსაფარი
საპრიზო 585 000 $

### 1/4 ფინალი

**დინარა საფინა** (რუსეთი, 7) — რობერტა ვინჩი (იტალია) — 5:7, 6:3, 6:4
**ანა-ლენა გრენეფილდი** (გერმანია) — ნადია პეტროვა (რუსეთი, 2) — 2:6, 6:3, 6:2
**ნატალი დეში** (საფრანგეთი, 4) — დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკეთი, 5) — 6:1 6:4

**ლუქსემბურგში** მიმდინარე WTA-ს ტურნირზე გუშინ მეოთხედფინალური შეხვედრები გაიმართა და პირველი ნახევარფინალისტებიც გამოვლინდნენ.

ყველასთვის მოულოდნელად, შეხვედრა წააგო ტურნირზე მეორე ნომრად განთესილმა რუსმა ნადია პეტროვამ. იგი გერმანელ ანა-ლენა გრენეფილდთან დამარცხდა. არადა, ასეთი შედეგის პროგნოზირება საკმაოდ ძნელი იყო, რადგანაც პეტროვა წლეულს მშვენივრად ასპარეზობდა და კარგი სტატისტიკაც ჰქონდა — 41 მოგება და 16 წაგება.

ამასთანავე, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ გრენეფილდი ამჟამად მართლაც კარგ ფორმაშია. ერთი კვირის წინ ის პეკინის ტურნირის ფინალში გავიდა, თუმც იქ მარია კირილენკოსთან დამარცხდა, ლუქსემბურგში კი გერმანელმა ნახევარფინალში გასვლა მოახერხა და საკმაოდ კარგი შანსი აქვს, რომ ზედიზედ მეორე ფინალში ითამაშოს.

რაც შეეხება უშუალოდ შეხვედრას, ის პეტროვას უპირატესობით დაიწყო და პირველი სეტიც მისი გამარჯვებით დასრულდა, მაგრამ რუსმა ტემპის შენარჩუნება ვეღარ შეძლო, ინიციატივა ნელ-ნელა გრენეფილდმა იგდო ხელთ და თამაშის ბოლომდე აღარც გაუშვა.

ნახევარფინალში გრენეფილდის მეტოქე ასევე რუსი დინარა საფინა იქნება, რომელიც ტურნირზე მეშვიდე ნომრად არის განთესილი. მართალია, რუსმა პირველი სეტი წააგო, მაგრამ შემდეგ ზედიზედ ორი სეტის მოგება მაინც შეძლო და მატჩიც თავის სასარგებლოდ დაასრულა.

ნახევარფინალში გავიდა ფრანგი ნატალი დეშიც, რომელმაც ორ სეტში დაამარცხა სლოვაკი ჰანტუხოვა.

**კახა ლომაშვილი**

# F1 სამეფო რბოლების ლეგენდა 13

## დენი ჰალმი

დაიბადა 1936 წლის 18 ივნისს ნელსონში, ახალი ზელანდია

ფორმულა 1-ში გამოდიოდა 1965-74 წლებში

მსოფლიოს 1967 წლის ჩემპიონი

1968 და 1972 წლების მესამე პრიზიორი

1966, 1970 წლებში – მეოთხე ადგილები

112 რბოლა, 8 გამარჯვება, 33 პოდიუმი, 1 პოულ-პოზიცია, 9 უსწრაფესი წრე, 248 ქულა

გუნდები: „ბრებემ-კლიმა" (1965), „ბრებემ-რეპკო" (1966, 67), „მაკლარენ-კოსუორტი" (1968-74)

გარდაიცვალა 1992 წლის 4 ოქტომბერს ბათჰერსთის ტრასაზე გულის შეტევისგან



*დენის კლაივ ჰალმი „სამეფო რბოლების" 56-წლიან ისტორიაში ერთადერთი ახალზელანდიელი ჩემპიონია. საერთოდ კი საპირველფორმულო ბედაურებით კივისქვეყნელ რვა პილოტს უჯირითია.*

*აღსანიშნავია, რომ ბევრი სხვა მძღოლივით იგი გუნდიდან გუნდში არ დახტოდა — ათწლიან კარიერაში მხოლოდ ორი, თანამემამულე ბრიუს მაკლარენისა და ავსტრალიელ ჯეკ ბრებემის საჯინიბოების მანქანებით იქროლა.*

*ჩუმი, თუმც ბუზღუნა ხასიათისა და ჩაფსკვნილი აღნაგობის გამო მეტსახელად „დათვი" შეარქვეს. სარბოლო სცენაზე დენი მეტად პოპულარული იყო, უკლებლივ ყველა მას დიდ პატივს სცემდა.*

*მსოფლიოს სამგზის ჩემპიონ, შოტლანდიელ ჯეკი სტიუარტის თქმით, „იგი ძალიან პატიოსანი და ნესიერი პიროვნება იყო, ვარსკვლავის უნარისა და შესაძლებლობების, მაგრამ არა ვარსკვლავის ხასიათისა, უბრალოდ, დენი".*

*პროფესიით მექანიკოსი ჰალმი, მიუხედავად იმისა, რომ მხოლოდ ერთხელ მოიპოვა ფორმულა 1-ში მსოფლიოს ჩემპიონის გვირგვინი, ავტოსაქმეში დიდი დამსახურებისთვის 1992 წლის ივნისში ბრიტანეთის იმპერიის ორდენით დააჯილდოვეს. სამი თვის შემდეგ იგი რბოლისას ინფარქტით გარდაიცვალა.*

დენის მამა კლაივი წყალზე მკითხავი და მომავლის წინასწარმეტყველი იყო, იმავდროულად ექსტრაკლასის მფრინავი-გამანადგურებელი. მეორე მსოფლიო ომში 1941 წელს საბერძნეთის კუნძულ კრეტასთან ბრძოლისას გამოჩენილი მამაცობისთვის ვიქტორიას ჯვრის ორდენი დაიმსახურა.

მომავალმა ჩემპიონმა ბავშვობა გაატარა ქვეყნის სამხრეთ კუნძულზე მოტეუკაში, სადაც მის ბებია-ბაბუას თამბაქოს პლანტაცია ჰქონდათ. ომის შემდეგ ჰალმების ოჯახი საცხოვრებლად გადაბარგდა ჩრდილოეთ კუნძულზე, ტი პაკის მამულში. იქ კლაივმა სატრანსპორტო ფირმა გახსნა.

დენიმ სკოლის მიტოვების შემდეგ მამის გარაჟში მექანიკოსად დაიწყო მუშაობა, ტრაქტორებისა და სატვირთო ავტოების შეკეთებაში ეხმარებოდა. საკუთარი შრომით დაგროვილი ფულით თავისი პირველი მანქანა იყიდა — ახალი „MG TF1500" და ადგილობრივ რბოლებში გამოსვლა დაიწყო.

თავიდან სამთო ეტაპები უფრო იტაცებდა. სამი არცთუ უხეირო სეზონის შემდეგ ბედი სცადა პროგრამაში „მრბოლი ევროპისთვის", რომელშიც 1959 წელს მისმა მეგობარმა ბრიუს მაკლარენმა გაიმარჯვა, მერე კი დენის ჯერიც მოვიდა. ეს იყო შესარჩევ რბოლათა წლიური სერია და საზიაროდ შეძენილ „კუპერ კლიმათი" წარმატებამ 24 წლის მძღოლს ბებერი კონტინენტის საგზური მოუპოვა.

ახალი ზელანდის ავტოკლუბის სტიპენდიით- ჰალმი ევროპაში — საავტომობილო მექაში ჩამოვიდა დასაოსტატებლად. პირველხანობა საჭესთან ფეხშიშველა ჯდებოდა, პედლებს ასე უკეთ ვგრძნობო. ჯერ იყო ფორმულა „ჯუნიორი" და ფორმულა-2 კენ ტირელისა და ჯეკ ბრებემის გუნდებში. შეთავსებით დენი ბრებემის სახელოსნოში მექანიკოსად მუშაობდა.

ნიჭიერმა ახალგაზრდამ მალე შეიძინა გამოცდილება. 1963 წელს „ჯუნიორის" კლასში 14-დან ექვს ეტაპზე გაიმარჯვა და მხოლოდ ქულა დააკლდა ჩემპიონობამდე. მომდევნო წელს ფორმულა 2-ში ორი რბოლა მოიგო საფრანგეთსა და ბელგიაში და საბოლოო ჩათვლაში მეორე ადგილზე გავიდა ბრებემის შემდეგ.

მთავარი ფორმულისკენ გზა ხსნილი იყო და შეფმა — „ბლეკ ჯეკმა" ახალთახალი „ბრებემ-კლიმა" ანდო.

ჰალმის დებიუტი 1965 წლის 30 მაისს მონაკოს დიდი პრიზის გათამაშებისას შედგა. კვალიფიკაციაშიც და რბოლაშიც მერვე იყო, რაც ახალბედასთვის, მით უმეტეს მონტე კარლოს ჩახლართულ ქუჩებში, ჩინებულზე უკეთესი დასაწყისია. დენიმ იმ სეზონში ექვსჯერ გაიჯირითა და ხუთი ქულით მეთერთმეტე ადგილი დაიკავა ოც მონაწილეს შორის.

მომდევნო პირველობა ბოსისა იყო. ჯეკ ბრებემმა უზარმაზარი უპირატესობით მოიპოვა მესამე ტიტული, ჰალმი საპატიო მეოთხე ადგილზე გავიდა.

1967 წელს საჩემპიონო ბრძოლა ბრებემს, ჰალმსა და შოტლანდიელ ორგზის ჩემპიონ ჯიმ კლარკს შორის გაჩაღდა. „მფრინავი შოტლანდიელი" მეტოქეებს ბოლომდე მედგრად კი ეწინააღმდეგებოდა, მაგრამ მაინც ვერაფერს გახდა ავსტრალიურ ფირმა „რეპკოს" სუპერძრავიან მართლაც რომ მფრინავ „ბრებემებთან".

ჰალმი პირველივე ეტაპიდან ჩაუდგა სათავეში სატურნირო ცხრილს. შუა სეზონში 43-ქულიანი „დათვი" ორმაგზე მეტი სხვაობით უსწრებდა კლარკს (19). დენიმ 11 რბოლიდან მოიგო ორი — მონაკოსა და გერმანიაში, კიდევ ექვსჯერ შედგა პოდიუმზე და დამსახურებულად დაიდგა „სამეფო რბოლების" გვირგვინი.

მონტე კარლოში მის პირველ საკარიერო გამარჯვებისას მოხდა საშინელება — ლორენცო ბანდინის „ფერარის" უკან მიმავალმა ჰალმმა დაინახა, რომ იტალიელის ბოლიდი ზეთის ლაქაზე მოცურდა, ამოყირავდა და ცეცხლი წაეკიდა. მაშველებმა ახლოს მისვლაც ვერ მოახერხეს და ლორენცო ცოცხლად ჩაიწვა მანქანაში.

ჯიმიმ დენიზე ერთით მეტი დიდი პრიზი კი მოიგო, მაგრამ ვიცეჩემპიონობასაც ვერ შესწვდა, მეორე ადგილზე ბრებემი გავიდა.

იმ სეზონის დასკვნით, მექსიკურ ეტაპზე, სადაც ახალზელანდიელმა ტიტული გაინაღდა, ბოს-მძღოლს შორის მოხდა კონფლიქტი, რის გამოც ჰალმმა გუნდი დატოვა, მეგობარ-თანამემამულის „მაკლარენში" გადავიდა და შვიდი წლის შემდეგ იქვე დაასრულა ათწლიანი საპირველფორმულო კარიერა.

ჰალმი პარალელურად ლე მანის და კან-ამის (იმხანად პოპულარული კანადა-ამერიკის სერია) რბოლებშიც მონაწილეობდა და წარმატებებსაც აღწევდა. 1966 წელს ლე მანის 24-საათიან მარათონში კენ მაილსთან წყვილში „ფორდით" მეორე ადგილი დაიკავა, ხოლო „მაკლარენით" კან-ამის ჩემპიონატში ორჯერ (1968, 70) იპირველა.

მაგრამ სწორედ ოკეანისგაღმა საჩემპიონო 1970-ში ყველაზე დიდი ფათერაკიც შეემთხვა. იმ საშინელ სეზონში დაიღუპა სამი მეფორმულე ასი — ბრიუს მაკლარენი, იოხენ რინდტი და პიერ კარიჯი. დენიც კინაღამ მათ გზას გაჰყვა.

მაისში, ინდიანაპოლისის ეტაპისწინა ვარჯიშისას მექანიკოსებს მისი „მაკის" ავზი ღია დარჩათ და გადმოღვრილი მეთანოლი, რომელიც ბენზინის ნაცვლად გამოიყენებოდა, უცებ აალდა. მრბოლს „ნომექსის" ცეცხლგამძლე ქსოვილის კომბინეზონი კი ეცვა, მაგრამ ხელთათმანები და ფეხსაცმელი ჩვეულებრივი იყო. მანქანა ჯერ კიდევ არ გაჩერებულიყო, დენი რომ გადმოხტა. ხელები საშინლად დაეწვა, თუმც ტკივილის მიუხედავად, ერთი თვის შემდეგ მაინც მიუჯდა საჭეს კანადურ ეტაპზე. ხელთათმანების გახდისას კარგა ხანს მათ კანის ახალი ფენა მიჰყვებოდა. ჰალმმა გმირულად გაუძლო და მეორედ მოიპოვა კან-ამის ჩემპიონობა.

80-იან წლებში გულმა არ მოუთმინა და ნახევარ საუკუნეს მიტანებული, ტურისტული ავტოების შეჯიბრებებში ჩაება. აღსასრულიც ტრასაზე იპოვა.

1992 წლის 4 ოქტომბერს ავსტრალიაში ბათჰერსთის 1000-კილომეტრიანი მომქანცველი მარათონისას, „დათვის" BMW M3 მოულოდნელად გზიდან გადავიდა და დამცავ ბარიერში ცხვირით შეჯახდა. დასახმარებლად მირბენილ მარშლებს მძღოლი გარდაცვლილი დახვდათ — ავადმყოფმა გულმა უმტყუნა.

დენი ჰალმი 56 წლის იყო.

**გია ახალაძე**



1967. „დათვმა" ტიტული მექსიკაში მესამე ადგილით გაინაღდა





დენი ჰალმი გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე



AFP ბუდაპეშტიდან

# შემტევი ქალები

ბუდაპეშტში გრძელდება მსოფლიოს ჩემპიონატი თავისუფალ ჭიდაობაში. ბრძოლები ფიცხელია, ერთ ფინალში იაპონელი ტიაკო შოდა უნგრელი მაიან შაშტინის ბეჭებზე გაკვრას ლამობს, მეორეში კი რუსი ნატალია გოლცი ესპანელი მინერვა მონტეროს ხელის წატეხვას.



AFP ბუდაპეშტიდან

# ფრანგულ ტალღაზე

სამხრეთ დასავლეთ საფრანგეთის ტალღებში გრძელდება ქვიქსილვერ პრო-მოსერფეთა II დიდი შეჯიბრიდან, სეზონურად მეცხრე ასპარეზობა სურათზე ამერიკელი კრის უორდი ჩაუქობს.



AFP ქვიქსილვერიდან

# იფრინა



AFP სან ფრანცისკოდან

ამ ჯეილმა, ენდი მეირი რომ ჰქვია, ზედ სან ფრანცისკოს თავზე იფრინა. რა თქმა უნდა, სარეკლამო მიზნით. განთქმული აღმართ-დაღმართიანი ფილმის სტრიტი გვარიანად გაიცუბული დარჩა.



AFP ობიჰიროდან

# სალამი, ძმობილო

კუნძულ ჰაკაიდოზე ერთი ამბით გაიხსნა იაპონიის დიდი რალი. ობიჰიროში, სადაც შეჯიბრი უკვე გახურებულია. ფავორიტად ნორვეგიელი პეტერ სოლბერგიც შეიძლება ჩაითვალოს, რომელიც იაპონელ ქომაგებს მეტად უყვართ.

სარბიელი
სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის
28 დეკემბრიდან

გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი ილია ბაბუნაშვილი
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი ავთანდილ გურასაშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, სოსო კოტორაშვილი, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, ზვიად მოსიაშვილი, თენგიზ ფოცხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაб წერეთელი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge